# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 17 ოქტომბერი 1996 №107 (332) ფასი 50 თეთრი

# დინამო 1:0 ბოავიშტა
# ვითა 104:86 ბუდუჩნოსტი

- „ვითა“ ახალი საქართველოს პირველი გუნდია, რომელმაც ევროთასებზე ორი მატჩი მოიგო

- „ვითამ“ ახალი დროის ქართული გუნდებიდან პირველმა დააგროვა ევროთასების ერთ მატჩში 100-ზე მეტი ქულა

- მხოლოდ „ვითამ“ და უკრაინის „შახტიორმა“ გადალახეს 100-ქულიანი ზღვარი ევროპის თასის მეხუთე ტურში

იხილეთ მეექვსე-მეშვიდე გვერდები





თამაშისას ჯერ ჟორჟე კოუტუმ, შემდეგ კი ისაიაშმა სტადიონს საკმაო მატერიალური ზარალი მიაყენეს. მათი დარტყმები ისევე არაზუსტი იყო, როგორც უმრავლეს შემთხვევაში მათი თანაგუნდელებისა. ამას კი ის მოჰყვა, რომ ორივემ უძლიერესი დარტყმით კარსუკან მდგომი სარეკლამო ფარები გახიეს და პორტუგალიელებს ჩამოყოლილ სარეკლამო სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციონერს დიდი ჯაფა დაადგა. დასაჭედებლად გამოსაყენებელი პნევმატური პისტოლეტით შეიარაღებულს ჯერ ცივ იარაღასხმულებთან მოუხდა საქმის გარკვევა და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო რეკლამის თავდაპირველი სახით აღდგენა.

ჟორჟე კოუტუსა და ისაიაშის საქციელი უნებლიე იყო. მათ ერჩივნათ, ამ დარტყმებს ბადე გაეხია, მაგრამ შეცვლაზე შემოსულმა ტანმაღალმა შავკანიანმა თავდამსხმელმა ჯიმიმ ესაც ვერ მოახერხა, რაკიღა მისი ჯარიმა ზოიძემ მოიგერია და ამანაც, გასახდელისკენ გაბრაზებით მიმავალმა ერთი ფეხის მოქნევით ნაფოტებად აქცია თავისთვის უპრეტენზიოდ მდგარი... თეთრი სკამი.

ცხენს რომ ვერ მისწვდები, დიდი-დიდი, უნაგირი დაამტვრიო, მაგრამ ეს რომ არას მოგცემს, ყველასთვის ნათელია. 1:0-ს, ასე საინტერესო შედეგს (ყიფიანის სიტყვას თუ დავიმოწმებთ), დიდად არც დინამოელები გაუხარებია და არც მათი მეტოქე. ვერ გეტყვით, ასეთი თამაშით მეტს რას ელოდა „ბოავიშტა“, მაგრამ მოლოდინი რომ არ გაუმართლდა, ეს კი ცხადია. ევროპული სტანდარტებით სუპერგუნდი არც „ბოავიშტაა“, მაგრამ ყველა ვხვდებით, რომ იგი „დინამოს“ აქამომდელ მეტოქეებზეც ულაპარაკოდ ძლიერია და ბევრ სხვაზეც. მაგრამ რა? „მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა“. „დინამოს“ დაცვის გარღვევა რომ არც ისე იოლია, ამაში პორტუგალიელთა ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ნუნუ გომეშიც დარწმუნდა, რომელსაც კალაძემ საშველი არ მისცა და შეცვლევინა კიდეც.

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები



## ევროპის ძიუდო: ვისი გუნდი სჯობს?

დღეს დილით საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები სანკტ-პეტერბურგს გაემგზავრა ევროპის გუნდურ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. ვაჟთა შეჯიბრება კვირას, 20 ოქტომბერს დილით დაიწყება, იმავე საღამოს კი ჩემპიონი და პრიზიორები გამოვლინდებიან.

ჩვენი გუნდის შემადგენლობაში არიან:
60 კგ: ნესტორ ხერგიანი
65 კგ: გიორგი რევაზიშვილი
71 კგ: გიორგი ვაზაგაშვილი
78 კგ: ვლადიმერ დგებუაძე და გიორგი ჭაბუკაშვილი
86 კგ: სოსო ლიპარტელიანი
95 კგ: მევლუდ ლობჟანიძე და ივერი ჯიქურაული
მძიმე: დავით ხახალეიშვილი, ალექსი დავითაშვილი და რამაზ ჩოჩიშვილი.

ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე გუნდს თან ახლავს „სარბიელის“ საგანგებო კორესპონდენტი მერაბ რატიშვილი, რომლის რეპორტაჟებსაც მომდევნო ნომრიდან წაიკითხავთ.

# შამათი შუა თამაშში

## უეფას თასი

მეთექვსმეტედფინალის პირველი მატჩი

თბილისი, ეროვნული სტადიონი, 15 ოქტომბერი

## დინამო 1:0 ბოავიშტა

1. ზოიძე
5. მაჭავარიანი
4. ზ. ჭელაძე — 10. ჩხაიძე
2. კალაძე 3. ლობჟანიძე
7. კიკნაძე
6. გოგიჩაიშვილი — 8. ჯამარაული — 9. კობიაშვილი
11. იაშვილი

21. ნუნუ გომეში
20. ჟორჟე კოუტუ — 25. ლაპატი
4. ტავარეში
30. მარიო სილვა — 5. დუარტე — 2. პაულო სოუზა
22. პედრო ემანუელი — 17. ლიტუში
23. ისაიაში
1. ალფრედო

შეცვლა: მაჭავარიანი — 13. კერძევაძე (43), ჟორჟე კოუტუ — 16. მარტელინო (51), ნუნუ გომეში — 9. ჯიმი (65), კიკნაძე — 15. ინალიშვილი (73), იაშვილი — 16. დემეტრაძე (80), ლატაპი — 6. ჰელდერი (89)

1:0 გოგიჩაიშვილი (28 პ)

გაფრთხილება: დუარტე, ჭელაძე, კობიაშვილი, კალაძე

მსაჯი: მ. სანდრა (ბელგია)

## დროა ჭიტლაყიც ვისწავლოთ

„დინამოს" უკვე მეშვიდე თამაშია უეფას თასზე არ წაუგია, როგორც გაუხედნავ, უბელო კვიცს ჯერ ზურგზე არავინ შეუსვამს. თუკი ვინმე,მამაცი მხედარი მოინდომებდა, „დინამო" ყალყზე დგებოდა და ამის მოსურნეს ძირს სცემდა, ოღონდ თან ჭიტლაყსაც აღარ მიაყოლებდა არა იმიტომ, რომ ვინმეს ინდობდა, უფრო იმად, რომ ჯერ თავის თავს უფრთხილდებოდა და სხვას ბოლომდე ვერ მიაგებდა საზღაურს. ყველაზე მეტად „დინამოს" დამარცხება „ბოავიშტამ" ინდომა, მას ამის სხვებზე მეტი ძალა მოსდევდა,მაგრამ ამ ჯერზე არაფერი გამოუვიდა იმის მიუხედავად, რომ სწრაფ, ტექნიკურ და საკმაოდ გამართულ ფეხბურთს თამაშობდა.

თამაშის მსვლელობისას, სხვა ყველაფერს რომ შევეშვათ, უშელავათო ჭიდილი ძალუმად იგრძნობოდა. ხან ერთი გამოსტაცებდა თამაშის სადავეებს ხელიდან მეტოქეს და ხან მეორე. მოკარნახის როლში უფრო ხშირად „დინამო" იყო, მაგრამ იგრძნობოდა, რომ „ბოავიშტა" თავის თამაშს თამაშობდა, „დინამოს" კი სადღაც დაეკარგა იგი და მთელი შეხვედრის მანძილზე ვერ ეპოვნა.

თბილისელებს მომხდურისთვის თავისი ნება რომ მოეხვიათ თავს, ამისთვის უპირველესად ყველა მოთამაშის სათამაშო მზადყოფნა იყო აუცილებელი. ამით კი ჩვენები ვერ დაიკვეხნიდნენ. ორი გაფრთხილების გამო („გრევენმახერთან" და „ტორპედოსთან") თამაშს სტოვებდა კუდინოვი, ხოლო ისინი, ვინც მინდორზე იყვნენ, უკლებლივ ყველანი, სათამაშოდ ვერ იყვნენ მზად. ეს განსაკუთრებით კობიაშვილზე ითქმის, რომელმაც იმედები გაგვიცურა, მაგრამ სამართლიანნი თუ ვიქნებით, მისი ასაკის ბიჭს იტალიასთან მძიმე მატჩის შემდეგ ასეთი ჩავარდნა უნდა ეპატიოს. თუ ასე მოხდება, მჯერა, ლევანი თავსაც სძლევს, დაღლასაც და ისევ გვასიამოვნებს კარგი თამაშით. თავდაპირველად ზვიად ჯელაძესაც გაუჭირდა. უფრო იმიტომ, რომ დაცვის ფლანგზე თამაშის მცირედი გამოცდილება აქვს, თორემ ტრავმირებული მაჭავარიანის გასვლის შემდეგ ცენტრში რომ გადაისროლეს ერთზე მეტად კაცი არ გაქცევია.

მეტს ველით ხოლმე კიკნაძისგან. უკვე მერამდენე თამაშია, თავს არ იზოგავს, მაგრამ მაინც ყველაზე მეტი წუნი სწორედ მასა აქვს. თამაშსაც ყველაზე მეტად ის აბრკოლებს, ამუხრუჭებს. არადა, კიკნაძე თუ უფრო უკეთ, საზრიანად ათამაშდა და ჯამარაულთან ერთად მოედნის ცენტრში ტანდემი შექმნა, „დინამოს" არა უჭირს რა.

სადაც ცუდს ვიტყვით, იქ უკარგოდაც არ იქნება. გვაოცებს ლობჟანიძე თავისი ჟინით, საიმედოობით და თავგანწირვით. დრო კია, ნუგზარმა უკვე სტაბილურად მაღალ დონეზე ითამაშოს. გასაკვირი უფრო კალაძის თამაშია. ამ მართლაცდა უმრწემესისთვის ყველაზე ძნელი უნდა იყოს ასეთ დონეზე თამაში, მაგრამ გუშინდელ ერთ-ორ შეცდომას თუ არ ჩავთვლით, პრეტენზიას ვერც მას წაუყენებ. ჯამარაულზე და გოგიჩაიშვილზე არას ვიტყვი. ულაპარაკოდ, თავისი თამაშით ისინი გუნდის ნამდვილი ლიდერები არიან და ნებისმიერ გუნდს თავისი ტექნიკით, სისწრაფით, დრიბლინგითა და ფეთქებადი ხასიათით პირღიას ტოვებენ. აი, სულ ცოტა მეტი ურთიერთგაგება და საზრიანობაც და მათი თამაში უფრო სარგებლიანი იქნება. თორემ ისე რა გამოდის? გოგიჩაიშვილი ტყავიდან ძვრება, ვინ იცის, 60 მეტრ დისტანციაზე იქნებ მსოფლიო რეკორდსაც ამყარებს, მის ჩაწოდებას კი გოლი იშვიათად თუ მოჰყვება ხოლმე. ეს ალბათ მიტომაცაა, რომ იაშვილი ისე ვეღარ ირჯება, როგორც წინა, პირველ თამაშებში,მას ახლა მეურვეებიც უფრო ძლიერნი ჰყავს, მაგრამ მის სასარგებლოდ ის რომ არ ვთქვათ, ბურთისთვის ხანდახან გამოცდილი მცველივით რომ იბრძვის, უსამართლობა იქნება. აი, მას გვერდით ერთი თავდამსხმელიც რომ ჰყავდეს, წამიერად მცველს რომ განზე გაუხმობს, საგოლე სიტუაციას შეუქმნის, მისი შედეგიანობაც არ დააყოვნებდა. თორემ იმის თქმა, „ბოავიშტასთან" გოგიჩაიშვილიც თავდამსხმელი იყო და მარჯვენა ფლანგზე ოდენ ზონას კეტავდაო, არაფერს მოიტანს.

ერთი რამ ცხადია, „დინამოს" ორი სუფთა თავდამსხმელის გამოყვანა ამ თამაშში მხოლოდ ფლანგიდან გადასროლილი კაცის ხარჯზე შეეძლო, რაკიღა ერთი ფორვარდით მოთამაშე „ბოავიშტას" მთელი ყურადღება მოედნის ცენტრზე ჰქონდა გადატანილი, სადაც სამი ფეხბურთელი ჰყავდა, ამათ კი უყურადღებოდ წამითაც ვერ დასტოვებდი, რადგან ლატაპიც, პედრო ემანუელიც და მონაცვლეობით სერჟიო დუარტე თუ ტავარეში გომეშს ხელსაყრელ მომენტებს უქმნიდნენ. აი, ამ დროს ფლანგებზეც ისეთივე მოთამაშენი რომ გვყოლოდა, როგორიც დაცვის ცენტრში, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ჯელაძეც და კერძევაძეც უმეტესად დაცვაზე ფიქრობდნენ, ვიდრე შეტევაზე, მარცხნივ კი კობიაშვილმა ვერ ითამაშა, ფეხნატკენმა ჩხაიძემ კი რაც მოახერხა, ისიც გასაკვირი იყო.

საბოლოოდ, დინამომ 5 აშკარა საგოლე მომენტიდან ვერცერთი გამოიყენა. მხოლოდღა ჯამარაულის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით მოვიგეთ. არადა, „ბოავიშტას" სუსტი დაცვა და საეჭვო სათამაშო რეპუტაციის მქონე მეკარე მეტს იმსახურებდნენ. ცუდია, რომ გოლი ვერ მივართვით.

## „ტიროლი" არ განმეორდეს!

„დინამოს" მწვრთნელმა, მსაჯობით ჩვენზე მეტად უკმაყოფილო რომ იყო, შეგვახსენა: დღევანდელმა არბიტრმა შარშაწინ „დინამო" — „ტიროლი" იმსაჯა და შელიაც მანვე გააგდოო. გეხსომებათ, მაშინაც ერთადერთი პენალტი ჯამარაულის წაქცევისთვის დაინიშნა და მაშინაც მარჯვენაფლანგელმა გაიტანა. ისევე, როგორც მაშინ, ახლაც გამოგვაკლდა დაცვის წამყვანი მოთამაშე კალაძე (ეს გაფრთხილებაც, კალაძისთვის მეორე რომ აღმოჩნდა, სანდრას ნამუსზე იყოს!)... მოკლედ, რაღა დაგიმალოთ, და, ასეთი დამთხვევების შემდეგ, მეშინია, პორტუშიც ინსბრუკი არ განმეორდეს. თანაც „ბოავიშტა" „ტიროლზე" უფრო ძლიერი გუნდი ჩანს. მაგრამ არა! ახლა ამის წარმოდგენაც კი მზარავს.

პორტუში კი, ბადრი ბეგალიშვილის თქმისა არ იყოს, წაგებაზეც თანახმა ვართ, ოღონდ 1:2 იყოს...

ვახტანგ ბზიკაძე

## პრესკონფერენცია

საპრესკონფერენციო დარბაზში სტუმარ-მასპინძელი თითქმის ერთდროულად გამოგვეცხადა. ყიფიანმა და ფილიპოვიჩმა ადგილები დაიკავეს და სიტყვა, რა თქმა უნდა, გზაზე მდგარ სტუმარს მიეცა. ჩვენებს თარჯიმანი სადღაც დაჰკარგვოდათ და მისი მოვალეობის შესრულება, ეს უკვე მერამდენედ, დავით ყიფიანმა იკისრა. პირველ კითხვას, რა იცოდნენ ჩვენმა სტუმრებმა „დინამოს" შესახებ, „ბოავიშტას" თავკაცმა ასე უპასუხა: ახლაც გავიმეორებ იმას, რომ „დინამოს" შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდი, მაგრამ ძალიან კარგად ვიცნობ ქართულ საფეხბურთო სკოლას, ვიცოდი, რომ თქვენი მოთამაშეები მაღალი კლასისანი, სწრაფები და ტექნიკურები არიან, ამიტომ თბილისური თამაშისთვის მთელი სერიოზულობით ვემზადებოდით. თქვენი 8 და 6 ნომრები, ჯამარაული და გოგიჩაიშვილი უმაღლესი კლასის მოთამაშეები არიან და რასაც ისინი მინდორზე აკეთებდნენ, უბრალოდ რომ ვთქვათ, გასაოცარია. „ბოავიშტას" ევროთასებში მონაწილეობის საკმაო გამოცდილება აქვს, ქართველებმა კი შეძლეს ასეთ მეტოქესთან მატჩის სადავეები ორივე ტაიმის განმავლობაში ხელთ სჭეროდათ. „დინამომ" ბრძოლაში 1:0 გაიმარჯვა და ეს ბევრის მთქმელია, განმეორებითი თამაშის წინ თქვენი გუნდი ერთი ნაბიჯით წინ დგას საბოლოო მიზნამდე.

საკუთარი გუნდის თამაში ფილიპოვიჩმა ასე შეაფასა: ეს იყო სეზონის საუკეთესო მატჩი, ბედნიერი ვარ, ასე კარგად რომ გამოვიყურებოდით. თუ ასე ვითამაშეთ საპასუხო შეხვედრაში და ბედმაც გაგვიღიმა, შესაძლოა, შემდეგ წრეშიც გავიდეთ.

ფილიპოვიჩმა მსაჯებსაც მოუწონა გარჯა: ძალიან რთული მატჩი იყო, ხშირი იყო ფიზიკური კონტაქტი მოთამაშეთა შორის, მცირე შეცდომების მიუხედავად, ვთვლი, რომ მსაჯებმა მოვალეობას თავი გაართვეს. რაც შეეხება ჩვენს კარში დანიშნულ თერთმეტმეტრიანს, საკმაოდ შორს ვიდექი და ვერაფერს მოგახსენებთ.

შინ თამაშისას ტაქტიკას, რა თქმა უნდა, შევცვლით, ტრავმირებულთაგან შესაძლოა მხოლოდ ტიმოფტე შემოგვეშველოს, დანარჩენები ალბათ ვერ იქნებიან მწყობრში. ვნახოთ, ყველაფერი ორ კვირაში გაირკვევა.

ამის მერე „ბოავიშტას" პრეს-ატაშემ მოგვახსენა, რომ თბილისურ მატჩის იქაური ტელევიზია ხვალ აჩვენებსო, პორტუში შეხვედრას კი პორტუგალიური ტელეკომპანია „რტპ" გადასცემსო.

ბოლოს ფილიპოვიჩმა მასპინძელ „დინამოს" ჩინებული დახვედრისა და გულთბილი მიღებისთვის დიდი მადლობა მოახსენა, თანაც დასძინა, ვეცდებით, პორტუგალიაშიც ასე კარგად გიმასპინძლოთო და დაგვემშვიდობა.

ამის მერე საკმაოდ დაღლილი ყიფიანი საკმაოდ გულახდილად გვესაუბრა:

— „ბოავიშტა" ყველაზე ძლიერია იმ გუნდებს შორის, ვისაც აქამდე შევხვდით. შეგვეძლო დიდი ანგარიშითაც მოგვეგო, მაგრამ ისეც შეიძლებოდა, გოლიც გაგვეშვა. გადასარევი და გასაგიჟებელია მსაჯის მოქმედება. ყველგან ასეა მიღებული, არბიტრი მასპინძლების მიმართ ყოველთვის იჩენს მცირეოდენ სიმპათიას, ჩვენთან კი ყველაფერი უკუღმა ხდება. სიმპათიას ვიღა დაეძებს, იმასაც არ იძლევიან, რაც ნაღდად გერგება. თავი დავანებოთ იმ ორ ნაღდ პენალტს, რომლებიც „ბოავიშტას" კარში არ დაინიშნა, ჩემთვის ახლაც გაუგებარია, რატომ გააფრთხილა მსაჯმა კალაძე. იმ ზანგმა ჯიმიმ ფეხი დააბიჯა, როგორია, ქაცვები რომ ჩაგერჭობა, ეტკინა ბიჭს, მსაჯმა კი ყვითელი აუფრიალა. კალაძე საპასუხო მატჩს გამოტოვებს, რაც ძალიან გულდასაწყვეტია. ბოავიშტელი ნუნუ გომეში პორტუგალიური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავია, მან კი ფეხი ვერ გაატოკა და ეს ყველაფერი კალაძის დამსახურება გახლდათ. სხვათა შორის, ეს ის არბიტრია, თბილისში „დინამო" — „ტიროლის" მატჩი რომ იმსაჯა. გემახსოვრებათ, მაშინ მან შელია გააძევა, ეხლა კი სული ამოგვხადა. თამაშის მერე მსაჯებთან არ გვიშვებენ, აქედან გამომდინარე, ვერც მატჩის ტექნიკურ შედეგს ვეცნობით, მერე უეფა გამოგვიგზავნის უსტარს, მაგრამ ჩვენი ფოსტის გადამკიდე, დაგვიანებით, როდის-როდის მივიღებთ. დღევანდელი თამაშის მონაცემები ჩვენამდე ალბათ ნოემბრის დამდეგს ჩამოაღწევს და იმ დროისთვის რაღად გვინდა, როცა განმეორებითი შეხვედრა ოქტომბრის ბოლოს გვაქვს...



ჭელაძემ თავით ვერ გაიტანა

...პირველ ნახევარში იძულებითი შეცვლა რომ არ [illegible] შევცდი. გელა თამაშში ვერ ჩაერთო და რამდენჯერმე დაკარგა ბურთი. ჯერ ვერაფერს ვიტყვი მაჭავარიანის ტრავმაზე, მამუკა ისეთი ბიჭია, რომ არ გასჭირვებოდა, თამაშიდან არ გამოვიდოდა. თავად გვითხრა, დაცემისას სახსარში ხრჭიალის ხმა გავიგეო. არ იყო ის პორტუგალიელი დასასჯელი, უხეშად რომ ეთამაშა უკნიდან?

...დღეს ჩვენ ერთი თავდამსხმელით არ გვითამაშია, იაშვილს გოგიჩაიშვილი ეხმარებოდა, უბრალოდ, კახა მერე ზონასაც დააკლდათ და ცოტა არ იყოს, გადაიღალნენ. ამას უპირველესად კობიაშვილს შეამჩნევდით. ამიტომ დატვირთვები გადავანაწილეთ. ლევანს იტალიიდან დაბრუნების მერე, ფაქტიურად, მსუბუქად ვავარჯიშებდით. უწინდებურად ვერც კიკნაძე ირჯებოდა. მართალია, იაშვილმა გოლი ვერ შეაგდო, მაგრამ ზღვა სამუშაო შეასრულა, იგი არაა დიდი სისწრაფეების მქონე ფეხბურთელი, მაგრამ სხვა რამით გამოირჩევა, შეუძლია გაძვრეს, გამოძვრეს, მოკლედ, უწინდელთან შედარებით „იაშვას" პროგრესი აშკარაა და გოლებსაც გაიტანს...

...დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გულშემატკივრებს. პირველი წუთებიდან ბოლომდე ასე ერთგულად ქომაგობა ბევრგან არსად მინახავს, თავად გასახდელში შემოსული დაქანცული ფეხბურთელები ამბობდნენ, რა ნამუსით გავჩერებულიყავით, როცა ტრიბუნები ასე თავდადებით გვქომაგობდნენო...

...არ გეგონოთ, ჩვენი ბიჭები გულგატეხილები იყვნენ, თამაშის მერე თქვეს, იქაც მოვუგებთო.

ბოლოს ყიფიანმა არც ჟურნალისტები დაგვივიწყა, მადლობის სიტყვები ჩვენც გვერგო: თქვენი თანადგომა და მხარდაჭერა საგულისხმოა, ძალიანაც გემადლიერებით, თქვენ შეგიძლიათ გვაკრიტიკოთ, მაგრამ, გთხოვთ, ეს ისეთ მომენტში არ იყოს, გუნდის განწყობაზე ცუდად იმოქმედოს.

ამის მერე ყიფიანი დაგვემშვიდობა და პრეს-კონფერენციაც გათავდა. ჩვენ კი ოქტომბრის ბოლს ერთი ცხელი ღამის გადატანაც მოგვიწევს, ვნახოთ, რა იქნება 29-ში...

მამუკა კვანტალიანი
ბადრი კეთილაძის ფოტოები



კიკნაძემ ბრძოლას ბოლომდე ვეღარ გაუძლო



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მატჩის შემდეგ

შეხვედრის შემდეგ პირველს გასახდელისკენ მიმავალ გოჩა ჯამარაულს გავესაუბრე. მან პორტუგალიელებთან თამაშშიც დამტკიცა თავისი მაღალი კლასი. გოჩამ სტუმრებს ისხლი გაუშრო და სწორედ ამაში აჯობა, რაც პორტუგალიელებს სამართლიანად ემაყებათ — ტექნიკა. პენალტიც მისი მოცელვისთვის დაინიშნა. ქანცგაცლილი გოჩა ისე დაღლილიყო, ძლივს ლაპარაკობდა.

— ძალიან ძლიერი გუნდია — ფიზიკურად, ტექნიკურად, ტაქტიკურად და ამიტომაც გაგვიჭირდა. ტრავმამ ერთი კვირა კი „დამასვენა", მაგრამ როგორც შევძელი, მოვემზადე და ვითამაშე. 29 ოქტომბერს პორტუში უფრო ძნელი მატჩი იქნება, თუმცა, სხვაგვარს არც ველოდით.

ირაკლი ზოიძე:

— უეფას თასის შეხვედრები საქართველოს ჩემპიონატისას არ ჰგავს, აქ ნამდვილი ბრძოლაა, ასე იყო დღესაც.

...ირაკლის ბოლო წუთების გახსენება ვთხოვე: ჯიმიმ ჯარიმა რომ დაარტყა, მან თითქოს ბოლო ძალები მოიკრიბა და ცხრიანში წასული ბურთი მოიგერია...

— სხვაგვარად არც შეიძლებოდა, ის ბურთი რომ გამეშვა, ბიჭების შრომას წყალს გავატანდი.

...ბოლო დროს უეფას თასის თამაშებზე დამკვიდრებულ ჩვენთვის სამწუხარო „ტრადიციას" არც პორტუგალიელებმა უღალატეს და ამჯერად მამუკა მაჭავარიანი დაგვიშავეს.

— შეჯახებისას მუხლი ისე მეტკინა, თამაშის გაგრძელება ვეღარ შევძელი. ჯერ ზუსტად არ ვიცი, რამდენად სერიოზულია ტრავმა.

„დინამოს" ექიმმა ზაქრო თელიამაც იგივე გვითხრა, ცხელ კვალზე ძნელია ზუსტი დიაგნოზის დასმაო.

ლევან კობიაშვილი:

— ასეთი დაძაბული მატჩი იშვიათად გვითამაშია. „ბოავიშტა" აშკარად კარგი გუნდი ჩანს. მაგრამ, ჩვენ რომ მოვიგეთ, ესეც ფაქტია და თავისთავად კარგია. მეორე შეხვედრა უფრო რთული იქნება, მაგრამ ვეცდებით, შემდეგ წრეში ჩვენ გავიდეთ.

ნუგზარ ლობჟანიძე:

— რა თქმა უნდა, ძნელი შეხვედრა იყო. ამ ეტაპზე სუსტები აღარ არიან. ძნელი გამარჯვება მოვიპოვეთ.

კახი გოგიჩაიშვილმა მეურვე ისე გააცეცურაკა, რომ მეორე ტაიმში პორტუგალიელთა გამწარებულმა მწვრთნელმა ამ მეურვეს, მარიო სილვას ყვირილი დაუწყო, რის გამოც მწვრთნელისთვის მიჩენილ „სანერვიულო" ზონას კაი გვარიანად გასცდა. ამაზე მსაჯს ისეთი რეაქცია ჰქონდა, ვიფიქრე, სათადარიგოთა სკამიდან გააძევებს-მეთქი. მაგრამ კალაძის ყვითელი რომ გამახსენდა, შემეშინდა, აქეთ ყიფიანს არ უთხრას რამე-მეთქი. მოკლედ, ამ აურზაურის მიზეზიც გოგიჩაიშვილი იყო.

— მგონი, მაყურებელმა კარგი თამაში ნახა. მთავარია, რომ გავიმარჯვეთ, მაგრამ სტუმრებმაც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ჩემი აზრით, „ბოავიშტა" ადრინდელ მეტოქეებზე ძლიერია.

— **მეორე შეხვედრისთვის შანსებს როგორ შეაფასებ?**

— თუკი დღევანდელივით მობილიზებულნი ვიქნებით, ამ ეტაპის გავლაც შესაძლებელია.

გია ჩხაიძემ უკვე დაამტკიცა, რომ ნამდვილად იყო „დინამოში" გადმოყვანის ღირსი. ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნება, თითქოს არაერთი წელი „დინამოში" გაეტარებინოს, თუმცა, „ბოავიშტასთან" საკუთარი თამაშით უკმაყოფილო იყო:

— მარჯვენა ფეხზე კუნთი მაწუხებს და ბოლომდე „გახსნის" საშუალებას არ მაძლევს. შეხვედრას რაც შეეხება, უკეთესი შედეგის მიღწევაც შეგვეძლო, მაგრამ რას იზამთ, ფეხბურთი ასეთია. პორტუგალიელებს „ტორპედოზე" ძლიერი ნახევარდაცვა და თავდასხმა ჰყავდათ, თანაც ტექნიკური ბიჭები არიან.

ალექსანდრე იაშვილი კარგად ირჯებოდა. ეს ტანმორჩილი ბიჭი გაცილებით მაღალ მეურვეს არაფერს უთმობდა, ბურთს რომ მიიღებდა, პორტუგალიელს გრძელი ფეხებიც ვერ შველოდა. ის კი არა, ერთხელ, მსაჯს რომ ნამუსი ჰქონოდა, საჯარიმოში „იაშკას" წაქცევისთვის სტუმარს ყვითელსაც ამოუღებდა და გოგიჩაიშვილსაც უფრო ადრე მოუწევდა ჩვენი გახარება. იაშვილი გაოცებული ჩანდა:

— უეჭველი პენალტი იყო — სუფთა, ასპროცენტიანი!

— **თამაშზე რას იტყოდი?**

— კი მოვიგეთ, მაგრამ მეტი შეგვეძლო, ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ...

მერაბ მამულაშვილი

## ნუნუ მართლა კარგი ბიჭია!

თამაშამდე პორტუგალიელთა კვეხნა, „დინამოს" დავამარცხებთო, ქადილი მეგონა, მაგრამ, ეტყობა, სერიოზულად ფიქრობდნენ ასე. მატჩის მერე, გასახდელთან, დანა პირს არ უხსნიდათ. შემთხვევით არ მითქვამს, გასახდელთან-მეთქი, რადგან როგორც კი ათიოდე მეტრით მივუახლოვდი კარს, კატეგორიულად მანიშნეს, ნაბიჯი აღარ გადმოდგაო. დაბალ-დაბალმა პორტუგალიელმა კი ყვირილი და ხელების ქნევაც ამიტეხა და... გამომექაჩა კიდეც. თანაც ისე უხიაკად, რომ კინაღამ პროფესიული ვალი დამავიწყა და ლამის იყო მუშტი-კრივზე გადავედით, მაგრამ „ბოავიშტას" სხვა ხელმძღვანელები შუაში ჩაგვიდგნენ და შეგვარიგეს. მერე ამიხსნეს, წესი გვაქვს, თამაშის შემდეგ ფეხბურთელთან დასალაპარაკებლად მხოლოდ ის დროა ჟურნალისტისთვის გამოყოფილი, გასახდელის კარიდან ავტობუსის კარამდე მისვლას რომ უნდაო. მაგრამ რად გინდა, ისაიაშმა ცივი უარი გვტკიცა, ჯიმიმ სპრინტერის სიჩქარით ჩაგვიქროლა, ტავარეში ავტოგრაფს დასჯერდა, ჟორჟე კოუტუ კი შოკში იყო! ეს კიდევ არაფერი, თვით „ძველმა ნაცნობმა", „ბოავიშტას" მეორე მწვრთნელმა რუი კაშაკამაც კი უარი მითხრა! მოკლედ, ამათთან ნუნუ გომეში მართლა კარგ ბიჭად გამოჩნდა, დიქტოფონი დაინახა თუ არა, მყის ჩანთები დადო და საპასუხოდ მოემზადა:



— **ნუნუ, რას იტყვით დღევანდელ ანგარიშზე?**

— ჩემი აზრით, ძალზე ცუდი შედეგია „ბოავიშტასთვის". თუმცა, მეორე მხრივ გადაწყვეტილი არაფერია, და, ვფიქრობ, პორტუგალიაში ჩვენ გვაქვს მოგების შანსი.

— **ვინ იყო თქვენს გუნდში საუკეთესო?**

— ჩემი აზრით, ჩვენი მეკარე ალფერდო.

— **პირადად თქვენი თამაშით თუ ხართ კმაყოფილი?**

— მე ყოველთვის უფრო კარგად ვთამაშობ, ვიდრე დღეს. დღეს კი, ვფიქრობ, კარგად არ მითამაშია.

— **თქვენი აზრით, მწვრთნელმა სამართლიანად შეგცვალათ?**

— ეგ თავად მას ჰკითხეთ.

— **დინამოელთაგან ვის გამოჰყოფდით?**

— არა მქონდა დრო და ხალისი, მეტოქეების თამაშს დავკვირვებოდი...

მამუკა კვარაცხელია



## პენალტი, რომელმაც თამაში მოგვაგებინა

... მატჩის შემდეგ რამდენიმე წამით ბელგიელი მთავარი მსაჯი მარნი სანდრა მოვიხელთე.

— **როგორ შეაფასებს რეფერი თამაშს?**

— ორივე გუნდი კარგი იყო შეტევებში, ორივე მხარეს საკმაოდ ჰქონდა გოლის გატანის შანსი, მაგრამ ბევრს აცილებდნენ. პენალტი კი უეჭველი იყო.

— **მეტოქეთა შანსებს როგორ აფასებთ?**

— 1:0, ვფიქრობ, კარგი შედეგია პორტუგალიაში გასამგზავრებლად.

— **საპენალტო სიტუაციაზე რას იტყვით „ბოავიშტას" კართან?**

— მეორე ტაიმში?

— **არა, პირველ ტაიმში, დანიშნულ პენალტამდე, იაშვილი რომ მოცელეს.**

— არა, არავითარი ფოლი. იქვე, ვიდექი, ყველაფერი ნათლად დავინახე და გარწმუნებთ, არავითარი ფოლი იქ არ იყო...

მამუკა კვარაცხელია







1 — ჯამარაულს საჯარიმოში აქცევენ.
2 — მარნი სანდრა პენალტის დანიშვნას აპირებს
3 — ალფრედო არბიტრის გადაწყვეტილებას აპროტესტებს
4 — სანდრა მაინც შეუვალია

ბადრი კეთილაძის ფოტოები

## უეფას თასის მეთექვსმეტედფინალი პირველი მატჩები

UEFA CUP

დინამო (თბილისი, საქართველო) — ბოავიშტა (პორტუგალია) 1:0
1:0 გოგიჩაიშვილი (28 პ)

შალკე (გერმანია) — ტრაბზონსფორი (თურქეთი) 1:0
1:0 მაქსი (77)

მეცი (საფრანგეთი) — სპორტინგი (პორტუგალია) 2:0
1:0 ტრაორი (5), 2:0 ლანჟი (13)

ლეგია (პოლონეთი) — ბეშიქთაში (თურქეთი) 1:1
1:0 სოკოლოვსკი (22), 1:1 ორჰანი (70)

კარლსრუე (გერმანია) — რომა (იტალია) 3:0
1:0 ფინკი (45), 2:0 დანდი (58), 3:0 ფინკი (75)

სლავია (ჩეხეთი) — ვალენსია (ესპანეთი) 0:1
0:1 მოია (73)

ბრიუგე (ბელგია) — ნაციონალი (რუმინეთი) 2:0
1:0 ვენჰაიენი (10), 2:0 სტალენსი (39)

ჰელსინბორგი (შვედეთი) — ქსამაქსი (შვეიცარია) 2:0
1:0 იონსონი (14), 2:0 იონსონი (60)

მიონხენგლადბახი (გერმანია) — მონაკო (საფრანგეთი) 2:4
0:1 კოლინზი (12), 1:1 ჰოშსტრატერი (57), 1:2 იკპება (58), 2:2 ანდერსონი (72), 2:3 ანრი (78), 2:4 იკპება (90)

ინტერი (იტალია) — გრაცერი (ავსტრია) 1:0
1:0 ანგლომა (81)

ლაციო (იტალია) — ტენერიფე (ესპანეთი) 1:0
1:0 ნედვედი (65)

აბერდინი (შოტლანდია) — ბრონდბიუ (დანია) 0:2
0:1 სანდი (44), 0:2 ჰანსერი (89)

ფერენცვაროში (უნგრეთი) — ნიუკასლი (ინგლისი) 3:2
1:0 ჰორვატი (7), 2:0 ლისტეში (17), 2:1 ფერდინანდი (25), 2:2 შირერი (35), 3:2 ლისტეში (57)

ესპანიოლი (ესპანეთი) — ფეიენოორდი (ჰოლანდია) 0:3
0:1 ვან გასტელი (21), 0:2 ტაუმენტი (55), 0:3 ლარსონი (89)

გიმარაეში (პორტუგალია) — ანდერლეხტი (ბელგია) 1:1
1:0 ლოპეში (7), 1:1 ზეტერბერგი (78)

ჰამბურგი (გერმანია) — სპარტაკი (რუსეთი) 3:0
1:0 ბრაიტენრაიტერი (8), 2:0 ბარონი (39), 3:0 კოვაჩევიჩი (57)

# რომარიო — რიოში, ვალენსია — მერვედფინალში

გათამაშებას შერჩენილი ერთადერთი ინგლისური გუნდი, ქვეყნის ჩემპიონატის ლიდერი „ნიუკასლი" მე-17 წუთზე 0:2-ს აგებდა ბუდაპეშტში. „ფერენცვაროშმა" კარგად გამოიყენა ინგლისელთა დაცვის შეცდომები — ჯერ ფილიპ ალბერმა უკან ხუსტად მიაწოდა მეკარეს და ფერენც ჰორვატმა იხეირა, მერე კი იგივე ჰორვატის თაურით ხარიხას მოხვდა და დაბრუნებულ ბურთს კრისტიან ლისტეშმა მიუსწრო. „ნიუკასლი" სწრაფად მოეგო გონს. შირერმა ჯერ კარის სიახლოვეს მყოფ ფერდინანდს თავზე დაასვა ბურთი, ათ წუთში კი თავად გაათანაბრა. „ფერენცვაროშმა" მაინც გაიმარჯვა, ბერდსლის უხეიროდ მოგერიებულ ბურთს ლისტეშმა ინგლისელთა კარში მიუჩინა ადგილი.

„ინტერი" მთელი თამაში უტევდა „გრაცერს", მაგრამ ამის მეკარემ მანინგერმა რამდენიმე აუღებელი ბურთი აიღო. 81-ე წუთზე სფორცამ კუთხური მოაწოდა და ანგლომამ თაური შეაგდო, თუმცა კი ძვირად დაუჯდა: კუნთი გაეჭიმა და შესაცვლელი შეიქნა.

„ტრაბზონსფორის" დაცვამ და შუახაზმა მეტად გაუძნელა საქმე „შალკეს". გოლი ერთხელ გავიდა — ჩეხმა ნემეცმა ჩააწოდა და მაქსმა თაური შეაგდო. სამაგიეროდ, შერცხვა მეორე გერმანული კლუბი — „მიონხენგლადბახი". 78-ე წუთამდე გერმანელები ორჯერ ჩამორჩებოდნენ და ორჯერ გაათანაბრეს. მერე კი ტიერი ანრი მარცხენა ფრთიდან შეიჭრა საჯარიმოში და „მონაკოს" მეხამე გოლი შეაგდო. რამდენიმე წუთში ანრიმ იგივე გაიმეორა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მეკარე კამპსმა მოგერიება მოახერხა. ბოლო წუთზე „გლადბახი" ხელოვნური თამაშგარეს გაკეთებას აპირებდა, მაგრამ ნიგერიელი იკპება ხაფანგს გაექცა და თავის გუნდს მერვედფინალში გასვლა კიდევ უფრო გაუადვილა.

პორტუგალიის „სპორტინგმა" წინა წრეში საფრანგეთის „მონპელიე" გამოაგდო და ახლაც ამ ქვეყანას ეწვია. „მეცმა" დასაწყისშივე მოიმთავრა საქმე: სენეგალელმა ტრაორემ თაური შეაგდო, ხოლო ლანჟმა — საჯარიმო. მერე პორტუგალიელები ბევრს უტევდნენ, მაგრამ ნაწვიმარ მოედანზე თავიანთი ტექნიკა უქმად დარჩათ.

მოიგო „ვალენსიამაც", ვისაც რომარიო გაექცა. პრაღაში „სლავიას" რამდენჯერმე შეეძლო გატანა, განსაკუთრებით დებიუტში, მაგრამ ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, ვალენსიელი ვლაოვიჩის დარტყმული, ძელმა რომ აისხლიტა, თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან უპატრონოდ მდგომ მოიას მიუვიდა და ამანაც არ დაახანა. რაც შეეხება რომარიოს, იგი სამშაბათს რიოში ჩავიდა და პირველი ის განაცხადა, სანამ არაგონესი მწვრთნელი იქნება, „ვალენსიაში" მიმბრუნებელი აღარ ვარო. კვირას „ფლამენგოს" პრეზიდენტი კლებერ ლეიტე ვალენსიაში ჩასულა და რომარიოს უკან დაბრუნების თაობაზე მოლაპარაკება გაუმართავს. „ვალენსია" თანახმაა, 1997 წლის შუაწელამდე ათხოვოს რომარიო „ფლამენგოს", სანაცვლოდ კი 750 ათას დოლარს ითხოვს. ბრაზილიელებს კი ფინანსურად უჭირთ და ამდენის გადახდის თავი არა აქვთ. ესპანელებს იმასაც სთავაზობენ, რომარიოს რამდენიმე ფეხბურთელში გაგიცვლითო.



„მონაკოს" შოტლანდიელმა ნახევარმცველმა ჯონ კოლინზმა მიონხენგლადბახელებს პირველი გოლი გაუტანა

ბელგიის ჩემპიონმა „ბრიუგემ" ვერპაიენისა და სტალენსის გოლებით დაამარცხა ბუქარესტის „ნაციონალი" და რუმინელთა ჯავრი ჯერჯერობით სანახევროდ იყარა. „ბრიუგე" იმიტომ თამაშობს უეფას თასზე, რომ „სტიაუასთან" დამარცხდა ჩემპიონთა თასის წინასწარ წრეში.

ვარშავაში „ლეგიამ" „ბეშიქთაშის" დაცვა კი შეიკლა, მაგრამ გოლი მხოლოდ ერთხელ სოკოლოვსკიმ გაიტანა. პოლონელები კვლავ უტევდნენ, მაგრამ თურქებმა კარგად დაიცვეს თავი და იქითაც გაიტანეს. ნიგერიელმა ამოკაჩიმ რთული მდგომარეობიდან ჩამოაწოდა და ორჰანის უძლიერესმა დარტყმამ სლავთა მეკარე შამოტულსკი უშანსოდ დატოვა.

## ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

# უდანაკარგოდ პორტუ და დორტმუნდი

III ტური

### A ჯგუფი

**აიაქსი — რეინჯერსი 4:1**

აიაქსი: ვან დერ სარი, ფელდმანი, ფ. დე ბური, ბოგარდი, მარსიუ სანტუში, ბაბანგიდა, რ. დე ბური, სხოლტენი, როისერი (ვიჩხე), დანი (ვოუტერსი),

1:0, 2:0 დანი (25,41), 3:0 ბაბანგიდა (83), 3:1 დურანტი (86), 4:1 ვოუტერსი (89).

**ოსერი — გრასჰოპერი 1:0**

ოსერი: შარბონე, დანჯოუ, გომა, ვესტი, ვიოლა, ჰენი, საიბი, რაბარივონი, ლამუში (სიბერსკი 83), დენიო, დიომედე.

გრასჰოპერი: ცუბერბუხლერი, ჰასი, გრუნი, სმილიანიჩი, ტუელერი (მანინი 81), ლომბარდო, ფოგელი, ესპოზიტო (სუბიატი 76), კომისეტი (ბერგერი 69), ტურყილმაზი, მოლდოვანი.

1:0 დენიო (42)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 6 |
| აიაქსი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| ოსერი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| რეინჯერსი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | 0 |

### B ჯგუფი

**ატლეტიკო — დორტმუნდი 0:1**

0:1 რიიტერი (51)

**სტიაუა — ვიძევი 1:0**

სტიაუა: სტელეა, ზამფირესკუ, ბაჩიუ, ჩიკი, ფილიპესკუ, მილიტარუ, სერბანი, ნადი, კალინი, ლაკატუში, ილიე.

ვიძევი: შჩესნი, ვოიტალა, ბაიორი, ლაპინსკი, ბოგუში, შიმკოვიაკი, მიხალსკი, მაიაკი, მიშკევიჩი (ზაიაც83), ციტკო, დემბინსკი.

1:0 ბოგუში (82 ს.კ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| ატლეტიკო | 3 | 2 | 0 | 1 | 8:2 | 6 |
| სტიაუა | 3 | 1 | 0 | 2 | 1:7 | 3 |
| ვიძევი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |

### C ჯგუფი

**ფენერბაჩე — მანჩესტერი 0:2**

მანჩესტერი: შმეხელი, გ. ნევილი, ირვინი, მეი, იონსენი, პალისტერი, კანტონა, ბეტი, კრუიფი (პობორსკი), ბექემი, სოლსკიაერი.

0:1 ბექემი (55), 0:2 კანტონა (60)

**რაპიდი — იუვენტუსი 1:1**

რაპიდი: კონსელი, ივანოვი, შოტელი, შტოგერი, შტუნცი, კოუბაუერი, პროსენიკი, ლესიაკი, ვაგნერი, ცინგლერი, ჰერაფი

იუვენტუსი: რამპულა, ფერარა, ტორიჩელი, მონტერო, პორინი, დეშამპი (პესოტო 84), დი ლივიო, იუგოვიჩი, ტაკინარდი (ლომბარდო71), ბოკშიჩი, ვიერი (პადოვანო 65)

0:1 ვიერი (8), 1:1 ლესიაკი (19)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| მანჩესტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 6 |
| რაპიდი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| ფენერბაჩე | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

### D ჯგუფი

**რუსენბორგი — პორტუ 0:1**

0:1 ჟარდელი (89)

**გიოტებორგი — მილანი 2:1**

გიოტებორგი: რაველი, მ. ნილსონი, ოლსონი, ლუკიჩი, ლანდბერგი (მ. იოჰანსონი 78), ალექსანდერსონი, ლინდკვისტი, ბლომკვისტი, ერლინგმარკი, პეტერსონი (ვილსტედტი 73), ა. ანდერსონი

მილანი: როსი, პანუჩი, კოსტაკურტა, დესაი, მალდინი, ლოკატელი (რაიციგერი 69), ალბერტინი, ამბროზინი, ბობანი, ვეა, სიმონე (დუგარი 77).

0:1 ვეა (52), 1:1 ვილსტედტი (75), 2:1 ალექსანდერსონი (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 3 | 3 | 0 | 0 | 6:3 | 9 |
| მილანი | 3 | 1 | 0 | 2 | 7:6 | 3 |
| გიოტებორგი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| რუსენბორგი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |



# კოპელი ქინქლაძეს უნდა შეხვდეს და იტალიელებს ფანჯარა მიუკეტოს

ხვალ სტივ კოპელი შეხვდება გიორგი ქინქლაძეს, რათა იტალიელებს ფანჯარა დაუხუროს: სერია A-ს გუნდები „პარმა" და „ფიორენტინა" თვალყურს ადევნებენ მას. იტალიელებს მხოლოდ მომავალ თვეში შეუძლიათ განახორციელონ ჩანაფიქრი, როცა ამ გუნდებს ერთი კვირით ეხსნებათ სატრანსფერო ბაზარი. ახლა მანჩესტერში ჩამოდის ქინქის აგენტი ფილიპ იუბერი კოპელთან და ლისთან მოსალაპარაკებლად.

კოპელმა იცის, რომ ხვალინდელი შეხვედრა მისი პირველი დიდი გამოცდა იქნება „სიტიში". მან უნდა გაარკვიოს, რას ფიქრობს ქართველი ასი თავის ახალ მწვრთნელზე და როგორ აფასებს „სიტის" პრემიერლიგაში დაბრუნების შანსებს.

ლიმ უკვე ორჯერ გადაუდო შეხვედრა იუბერს იმ მიზეზით, რომ ჯერ ახალი მწვრთნელის მოყვანა სურდა. მას იმედი აქვს, რომ კოპელი ქინქის გუნდში დარჩენაზე დაიყოლიებს. ქინქლაძე ამბობს, რომ, მართალია, „მეინ როუდზე" თავს კარგად გრძნობს, მაინც დიდ ფეხბურთში დაბრუნება სურს.

ფრენსის ლიმ ქინქის ყიდვაზე ამას წინათ ხელი აალებინა „სელტიკს" და „შეფილდ იუნაიტედს", 5 მილიონ ვირვანქას რომ იძლეოდნენ. ინტერესი დაკარგვინა „ლივერპულსაც", რომელსაც ასევე ძალიან სურდა ქართველის შეძენა. მაგრამ ლიმ ისიც კარგად იცის, რომ თუ ქინქიმ გადაწყვიტა, ჩემი მომავალი კონტინენტზეაო, მისი გაჩერება „სიტიში" შეუძლებელი იქნება.

*The Sun*, 16 ოქტომბერი

ეს ცნობა ქინქლაძეს, რომელსაც ღამით ნამგზავრს ჯერ კიდევ ეძინა, დილით მე შევატყობინე. „ძალიან კარგი, თუ შემხვედრა, მასაც ვეტყვი, რომ „სიტიში" გამჩერებელი აღარ ვარ" — მითხრა გიომ.

**ზურაბ მექველია**

ლონდონიდან

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი

მე-13 ტური. ბარნსლი — ოქსფორდი 0:0, რედინგი — სიტი 2:0, ბოლტონი — ტრანმერი 1:0, ბირმინგემი — იფსვიჩი 1:0, პორტსმუთი — ვულვერჰემპტონი 0:2, შეფილდი — ჩარლტონი 3:0 ქპრ — ბრედფორდი, სვინდონი — ჰადერსფილდი, ნორვიჩი — ოლდემი, პორტ ვეილი — კ.პალასი, ვესტ ბრომვიჩი — სტოკი, საუთენდი — გრიმსბი გვიან დამთავრდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 12 | 9 | 2 | 1 | 28-14 | 29 |
| ნორვიჩი | 11 | 7 | 3 | 1 | 17-7 | 24 |
| ბარნსლი | 11 | 6 | 3 | 2 | 17-10 | 21 |
| ვულვზი | 13 | 6 | 3 | 4 | 18-13 | 21 |
| ტრანმერი | 13 | 5 | 4 | 4 | 16-14 | 19 |
| კრ.პალასი | 11 | 4 | 6 | 1 | 23-10 | 18 |
| შეფილდი | 10 | 5 | 2 | 3 | 19-12 | 17 |
| ჰადერსფილდი | 10 | 5 | 2 | 3 | 17-12 | 17 |
| სტოკ სიტი | 10 | 4 | 4 | 2 | 15-16 | 16 |
| ოქსფორდი | 12 | 4 | 3 | 5 | 13-9 | 15 |
| ბირმინგემი | 10 | 4 | 3 | 3 | 12-10 | 15 |
| იფსვიჩი | 12 | 3 | 5 | 4 | 17-17 | 14 |
| ვესტ ბრომვიჩი | 10 | 3 | 5 | 2 | 14-13 | 14 |
| ქუინზ პარკი | 12 | 3 | 5 | 4 | 14-16 | 14 |
| სვინდონი | 11 | 4 | 2 | 5 | 12-13 | 14 |
| პორტსმუთი | 13 | 4 | 2 | 7 | 13-19 | 14 |
| რედინგი | 12 | 4 | 2 | 6 | 14-22 | 14 |
| სიტი | 11 | 4 | 1 | 6 | 11-15 | 13 |
| პორტ ვეილი | 12 | 2 | 7 | 3 | 10-14 | 13 |
| გრიმსბი | 12 | 3 | 3 | 6 | 15-24 | 12 |
| ბრედფორდი | 12 | 3 | 2 | 7 | 9-19 | 11 |
| საუთენდი | 12 | 2 | 5 | 5 | 12-23 | 11 |
| ჩარლტონი | 9 | 3 | 1 | 5 | 7-10 | 10 |
| ოლდემი | 12 | 1 | 3 | 8 | 12-20 | 6 |

## საბერძნეთი

მე-4 ტური. აპოლონი — პაოკ 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 10 |
| პანილიაკოსი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| პანახაიკი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| პანათინაიკოსი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:4 | 9 |
| იონიკოსი | 4 | 2 | 2 | 0 | 3:1 | 8 |
| აეკ | 4 | 2 | 1 | 1 | 9:4 | 7 |
| ქსანტი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| ოფი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| კალამატა | 4 | 1 | 2 | 1 | 3:5 | 5 |
| პაოკ | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| ვერია | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| არისი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| ათინაიკოსი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| კავალა | 4 | 0 | 3 | 1 | 1:2 | 3 |
| კასტორია | 4 | 0 | 2 | 2 | 2:8 | 2 |
| ედესაიკოსი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 1 |
| აპოლონი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | 1 |
| ირაკლისი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:9 | 1 |

## თურქეთი

მე-9 ტური. დენიზლის ფორი — ბეშიქთაში 0:4, სარიენისფორი — ანკარაგიუჯუ 2:1, ფენერბაჩე — ბურსასფორი 1:0, გაზიანთეფსფორი — ალთაი 2:0, გენჩლერბირლიგი — ზეითინბურნუ 3:2, ისტანბულსფორი — ტრაბზონსფორი 2:2, დარდანელსფორი — ანთალიასფორი 3:2, კოჩაელისფორი — ვანსფორი 4:2, სამსუნსფორი — გალათასარაი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 9 | 7 | 1 | 1 | 15:6 | 22 |
| ფენერბაჩე | 9 | 7 | 0 | 2 | 25:6 | 21 |
| ბეშიქთაში | 9 | 6 | 2 | 1 | 25:6 | 20 |
| ტრაბზონსფორი | 9 | 6 | 2 | 1 | 19:8 | 20 |
| კოჩაელისფორი | 9 | 5 | 3 | 1 | 15:9 | 18 |
| გაზიანთეპსფორი | 9 | 4 | 3 | 2 | 11:7 | 15 |
| ბურსასფორი | 9 | 4 | 2 | 3 | 9:7 | 17 |
| სამსუნსფორი | 9 | 4 | 2 | 3 | 12:14 | 14 |
| ალთაი | 9 | 4 | 1 | 4 | 11:14 | 13 |
| სარიენისფორი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:15 | 12 |
| გენჩლერბირლიგი | 9 | 3 | 2 | 4 | 9:12 | 11 |
| დარდანელი | 9 | 3 | 2 | 4 | 9:14 | 11 |
| ანთალიასფორი | 9 | 2 | 2 | 5 | 7:13 | 8 |
| ვანსფორი | 9 | 2 | 1 | 6 | 9:20 | 7 |
| ანკარაგიუჯუ | 9 | 2 | 0 | 7 | 9:16 | 6 |
| დენინსფორი | 9 | 1 | 2 | 6 | 7:17 | 5 |
| ზეითინბურნუ | 9 | 0 | 1 | 8 | 7:24 | 1 |

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა

მე-10 ტური. ვოლფსბურგი — მანჰაიმი 1:1, როტ ვაისი — კაიზერსლაუტერნი 1:4, ურდინგენი — მეპენი 0:0, კარლ ცაისი — უნტერჰახინგი 1:1, კიკერსი — ფორტუნა კიოლნი 3:1, გიუტერსლო — ოლდენბურგი 1:0, ლაიპციგი — ლიუბეკი 0:0, ჰერტა — ცვიკაუ 1:0, მაინცი — აინტრახტი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კ.სლაუტერნი | 10 | 5 | 5 | 0 | 14-4 | 20 |
| კიკერსი | 10 | 5 | 3 | 2 | 15-9 | 18 |
| ვოლფსბურგი | 10 | 4 | 5 | 1 | 12-5 | 17 |
| მაინცი | 10 | 4 | 5 | 1 | 15-9 | 17 |
| ურდინგენი | 10 | 5 | 1 | 4 | 16-11 | 16 |
| ჰერტა | 9 | 4 | 3 | 2 | 15-9 | 15 |
| ფორტუნა | 10 | 4 | 3 | 3 | 18-13 | 15 |
| უნტერჰახინგი | 10 | 2 | 8 | 0 | 9-7 | 15 |
| კარლ ცაისი | 10 | 3 | 4 | 3 | 11-11 | 13 |
| მეპენი | 10 | 2 | 7 | 1 | 7-7 | 13 |
| აინტრახტი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-12 | 12 |
| ლაიპციგი | 10 | 3 | 3 | 4 | 15-19 | 12 |
| გიუტერსლო | 10 | 3 | 2 | 5 | 7-14 | 11 |
| ლიუბეკი | 10 | 2 | 4 | 4 | 6-16 | 10 |
| ცვიკაუ | 10 | 2 | 3 | 5 | 9-11 | 9 |
| მანჰაიმი | 10 | 1 | 5 | 4 | 15-18 | 8 |
| როტ ვაისი | 10 | 2 | 1 | 7 | 14-28 | 7 |
| ოლდენბურგი | 9 | 1 | 3 | 5 | 10-17 | 6 |

### ტორპედო 4:3 გორდა

ტორპედო: მამარდაშვილი, შეყრილაძე, თურმანიძე, რუხაძე, სადილიანი, ჯინჭარაძე (ს. გიგიაძე 82), ვაშაკიძე, გ. მეგრელაძე, მ. მეგრელაძე (გედენიძე 90), აშვეთია (ხაჭაპურიძე 89), ვ. გიგიაძე
გორდა: კორომინაძე (ჯინჭარაძე 82), ი. ხუჯაძე, ბექაური, პატარიძე, სახვაძე, გაბელაია, მურჯიკნელი (მუშკუდიანი 78), არსოშვილი, ა. ჯელაძე, მენთეშაშვილი (კედელაშვილი 76), ლაზაძე
1:0 აშვეთია (31), 2:0 ვ. გიგიაძე (34), 2:1 ჯელაძე (42), 3:1 გ. მეგრელაძე (53), 3:2 მენთეშაშვილი (62), 4:2 მ. მეგრელაძე (68), 4:3 კედელაშვილი (82)
გაფრთხილება: ბექაური
მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

### სიონი 2:1 კოლხეთი

სიონი: ბაბუაძე, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე (ჯაგიდისი 65), ჯიქიძე, ქოიავა (ქორთუა 88), ტატარაშვილი, ჯაფარიძე, გ. ჩომახიძე, გაბისონია (ვ. სამხარაძე 89)
კოლხეთი: გოგუა, მიქაბერიძე (ბულუხია 46), კაკაჩია, შ. ხუჯაძე (ტორჩინავა 58), გოროზია, ლალანიძე (თიბილაშვილი 60), ზ. ამბიძე, ინიაშვილი, სოლოღაშვილი, დარასელია, გიორგაძე
0:1 ამბიძე (1 პ), 1:1, 1:2 მეტრეველი (43, 54)
გაფრთხილება: კაკაჩია, ჯაგიდისი, გოროზია
გაძევება: კაკაჩია
მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

### ბათუმი 4:0 სამგურალი

ბათუმი: ტოგონიძე, ი. მახარაძე, შანიძე, კანტიძე, შეყილაძე, თორლაშვილი (ჭიჭვეიშვილი 77), მ. მახარაძე, ლლონტი (ტრაპაიძე 69), ტულუში, დ. მახარაძე (უჯმაჯურიძე 46), ა. მუჯირი
სამგურალი: ქვიჩახია, ლ. ქობულაძე, მანაგაძე, გელაშვილი, გ. ჯანელიძე, უშვერიძე, ჭყონია (ბუნტური 46), ფესტვენიძე, ბრეგვაძე (ცსაიაშვილი 65), ხურცილავა, ჯანაშია
1:0 კანტიძე (12), 2:0, 3:0 უჯმაჯურიძე (62, 76), 4:0 ტრაპაიძე (89)
მსაჯი: ს. შალამბერიძე (თბილისი)

### გურია 3:0 კახეთი

გურია: ვოლკოვი, თ. ღურწკაია, თევზაძე (კოროტკოვი 74), ცერცვაძე, ბუცურეიშვილი, ყოლბაია, ქიქავა, განევი (გვარჯალაძე 67), ო. კორღალიძე, დ. გოდერძიშვილი, გვიანიძე
კახეთი: ასლანაძე, ჭიჭუა, ტარუღაშვილი, კ. წიკლაური, ნაკუდაიძე, ნონიკაშვილი (მამისაშვილი 37), გ. ლობჟანიძე, ჯაშიაშვილი (ცოგიაშვილი 72), ა. ბოჭორიშვილი, ბაბულაიძე, ღვინიაშვილი
1:0 კორღალიძე (9), 2:0 ფიცურია (33), 3:0 გვიანიძე (80)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

### ბომბარდირები

| | | თ | პ | გ |
|---|---|---|---|---|
| 1 - დავით უჯმაჯურიძე | „ბათუმი“ | 9 | (1) | 10 |
| 2 - გიორგი დემეტრაძე | „დინამო“ | 6 | (2) | 9 |
| ლევან ქებაძე | „მარგვეთი“ | 10 | (-) | 9 |
| 4 - ალექსანდრე იაშვილი | „დინამო“ | 4 | (-) | 7 |
| ნუგზარ მიქაბერიძე | „კოლხეთი“ | 10 | (-) | 7 |

### XI ტურის სტატისტიკა

| | სულ | | მასპინძლები | | სტუმრები | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ტური | 96-97 | ტური | 96-97 | ტური | 96-97 |
| თამაში | 7 | 84 | 7 | 84 | 7 | 84 |
| მოგება | 7 | 76 | 5 | 61 | 2 | 15 |
| ფრე | 0 | 8 | 0 | 8 | 0 | 8 |
| წაგება | 7 | 76 | 2 | 15 | 5 | 61 |
| გოლი | 24 | 272 | 16 | 205 | 8 | 67 |
| საშუალო შედეგიანობა | 3,43 | 3,24 | 2,29 | 2,44 | 1,14 | 0,80 |
| პენალტი | 2 | 24 | 1 | 17 | 1 | 7 |
| გამოყენებულია | 1 | 22 | 0 | 15 | 1 | 7 |
| რეალიზაცია | 0,5 | 0,92 | 0 | 0,88 | 1,0 | 1,0 |
| დიდი ანგარიშით მოგება | 2 | 30 | 2 | 28 | 0 | 2 |
| აგებდნენ და მოიგეს | 2 | 10 | 1 | 7 | 1 | 3 |
| ჰეთ-თრიქი | 0 | 7 | 0 | 5 | 0 | 2 |
| დუბლი | 2 | 33 | 2 | 28 | 0 | 5 |
| გაფრთხილება | 8 | 134 | 2 | 65 | 6 | 69 |
| გაძევება | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1 |

● პირველ, მესამე და მეხუთე სვეტებში მოცემულია ბოლო ტურის ტექნიკური შედეგები

● მეორე, მეოთხე და მეექვსე სვეტებში მოცემულია მიმდინარე ჩემპიონატის ჯამური მაჩვენებლები

# ფოთელები შეხვედრას აპროტესტებენ

13 ოქტომბერს გამართული მე-11 ტურის მატჩი „სიონი“ — „კოლხეთი“, როგორც იცით, მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა. თუმცა, ამ შეხვედრას, შესაძლოა, გაუთვალისწინებელი „მესამე ტაიმიც“ მოჰყვეს და აი რატომ: როგორც „კოლხეთის“ წარმომადგენელმა ვახტანგ ხაინდრავამ გვაცნობა, სტუმრებმა შეხვედრა გააპროტესტეს. მიზეზი? მსაჯზე მაყურებელთა ზემოქმედება. 38-ე წუთზე ასეთი ფაქტი მოხდა: მსაჯის ელგუჯა სილაგავას მოქმედებით უკმაყოფილო ერთ-ერთი ნასვამი გულშემატკივარი მას მოედანზე შეუვარდა. „სიონის“ ხელმძღვანელობა ამან, ბუნებრივია, შეაშფოთა და მომხდურის მოედნიდან გაყვანა განიზრახა. ამასობაში თამაში რამდენიმე წუთით შეწყდა, მოედანზე დაძაბულობამ დაისადგურა. ამ დროისთვის ფოთელები 1:0 იგებდნენ და, მათი აზრით, ამ ფაქტმა გავლენა იქონია საბოლოო შედეგზე. ამ აზრს, იზიარებენ ბოლნისელი გულშემატკივრებიც, ოღონდ მომხდარის მათეული ინტერპრეტაცია საპირისპიროა — გვეყო ამდენი უსამართლობა, ის კაცი მოედანზე რომ არ შევარდნილიყო, მსაჯი დღესაც „დაგვწვავდაო“. ბოლნისის გამგებლის მოადგილე გოჩა ცოფურაშვილი დამწუხრებული იყო მომხდარით — ასეთი რამ ბოლნისში ჯერ არ მომხდარა და ვიღაც გულშემატკივრის გამო რატომ უნდა დავზარალდეთო.

შეხვედრის შემდეგაც ტრადიციული დიალოგი მწვრთნელებთან თამაშს კი არა, სწორედ ინციდენტს შეეხებოდა.

ანზორ გრძელიძე, „სიონი“: რა გავლენა მოახდინა მაყურებელმა მსაჯზე?! რა ცუდად იმსაჯეს?

— ფაქტია, რომ მომხდარის მიზეზით „კოლხეთმა“ შეხვედრა გააპროტესტა...

— რა დაწოლა იყო მსაჯებზე? შეხვედრას ვაგებდით, მოვინდომეთ, მშვენიერი გოლები გავიტანეთ და მოვიგეთ. დაწოლა იყოო, რომ ამბობენ, მათ რომ დასჭირდათ, ხომ გვათამაშა სილაგავამ ზედმეტი 5 წუთი?

სოსო ფილია, „კოლხეთი“: ამგვარ ვითარებაში თამაშის ჩატარება არ შეიძლება. მსაჯებიც ადამიანები არიან, მესმის მათი, ასეთ შემთხვევაში რა უნდა ექნათ? შეხვედრა პირველივე ტაიმის მერე ფსიქოლოგიურად გვქონდა წაგებული. მეორე ტაიმში ფეხბურთელები მოედანზე ძალისძალით გამოვიყვანე, მაინც წავაგებთ და, რა აზრი აქვს თამაშსო? ან შედეგის რომელ ლოგიკურობაზე უნდა ვისაუბროთ? თამაშს შემთხვევით უეფას წარმომადგენელი რომ დასწრებოდა, ძირიანად მოგვთხრიდა და ფეხბურთის სახელსაც დაგვავიწყებდა.

არა, დღეს ფეხბურთი არ ყოფილა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ფედერაცია დუმს

12 ოქტომბრის „სარბიელში“ გაგაცანით იტალიური სპორტნაწარმის ფირმის „კაპას“ ლიცენზიებსა და საგარეო ურთიერთობებზე პასუხისმგებელის ჯან პაოლო ლეპრონის საკმაოდ უსიამოვნო წერილი ნოდარ ახალკაცისადმი. შეგახსენებთ, რომ ამ წერილით იტალიური ფირმა ჩვენს ფეხბურთის ფედერაციას თან აფთრთხილებდა და თან ემუქრებოდა, რადგან უარს აცხადებთ „კაპას“ ტექნიკურ სპონსორობაზე, ყველა ღონეს ვიხმართ ჩვენი უფლებების დასაცავადო.

ფეხბურთის ფედერაციისაგან ამ საკითხის თაობაზე კომენტარს ვერც ამჯერად ვეღირსეთ. ოფიციალური ვერსია ასეთია, „კაპასგან“ არავითარი ოფიციალური წერილი არ მიგვიღია და, ბუნებრივია, სათქმელიც არა გვაქვსო. ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის თქმით კი, იტალიელებთან ჩვენ პირნათელნი და მართალნი ვართ და „კაპას“ პროტესტის არავითარი საფუძველი არ გააჩნიაო.

ღმერთმა ქნას, ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ იყოს, თორემ ისიც არაერთხელ ყოფილა, სიმართლე ჩვენი გვგონებია, მაგრამ საქმე-საქმეზე რომ მიმდგარა, ბორბალი უკუღმა დატრიალებულა და ყოველივეს ვაი-უშველებელი და ნერვების წყვეტა მოყოლია. ესაც აუცილებლად უნდა გვახსოვდეს...

# ბულგარელებთან ფრე-ჭაჭანერწეჩ

15 ოქტომბერს 1978 წელს დაბადებულ ახალგაზრდათა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველი მატჩი საქართველოს ნაკრებმა სოფიაში, ბულგარელებთან გამართა. სრული ინფორმაცია მატჩის შესახებ არ გვაქვს, ამიტომ ჯერჯერობით მხოლოდ იმ პატარა ცნობას მოგაწვდით, რაც გაგვაჩნია.

შეხვედრა ფრედ — 2:2 დასრულებულა. ანგარიში მასპინძლებს გაუხსნიათ, ჩვენს კაპიტანს ალექსიძეს კი გაუთანაბრებია. მეორე გოლი ჩვენებურთაგან პეტრიაშვილმა გაიტანა. კოპალეიშვილს სოფიაშიც იგივე შემადგენლობა დაუყენებია და ისეთივე განლაგებით, როგორც მცხეთაში რუსების წინააღმდეგ.

ფინალურ ეტაპზე გამსვლელის ვინაობა საქართველო-სომხეთისა და ბულგარეთ-სომხეთის შეხვედრებში გაირკვევა. ჩვენები 19 ოქტომბერს თამაშობენ. რა თქმა უნდა, ის გარემოება, რომ ბულგარელებს ჩვენს შემდეგ უწევთ სომხებთან თამაში, მათ გარკვეულ უპირატესობას აძლევს. მაგრამ, თავად ის ფაქტი, რომ „ვითას“ და „დინამოს“ მიერ 15 ოქტომბერს თბილისში დაწყებულ გამარჯვებათა სერიას სოფიაში ჩვენმა ახალგაზრდებმაც აუბეს მხარი, სასიამოვნოა. ყოველ შემთხვევაში, მასპინძლებთან ფრე ნამდვილად კარგი შედეგია.



# საქართველოს თასი

## მეთექვსმეტედფინალის გამოტოვებული მატჩები

უკვე გაუწყეთ, რომ გადაიდო თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის ორი შეხვედრა. ამ ორიდან ერთი — „მაღაროელი“ — „ტორპედო“ ხვალ გაიმართება ჭიათურაში, მეორე კი „დინამო 2“ — „დილა“ მოგვიანებით ჩატარდება. ამ ორ მატჩში გამარჯვებულთა ვინაობა რომ გაირკვა, კენჭისყრაც მაშინ მოეწყობა და მერვედფინალური წყვილებიც დადგინდება.

# პატარა „ავაზას“ ნახტომი

საფეხბურთო კლუბ „მთვარის გლობუსის“ თაოსნობით მოწყობილი 1987 წელს დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა ტურნირი ამ კლუბის ტრაგიკულად დაღუპული მეკარის აკაკი ჯიშკარიანის ხსოვნას ეძღვნებოდა.

მონაწილეთა შორის იყვნენ „ნორჩი დინამოელის“ და „ავაზას“ პირველი და მეორე გუნდები, გლდანის გუნდი და „მთვარის გლობუსი“.

ფინალში ერთმანეთს წარუდგნენ „დინამოს“ და „ავაზას“ პირველი გუნდები. ავაზელებმა (მწვრთნელი ანზორ ზუკაკიშვილი, სკოლის დირექტორი მიხეილ მესხი) იმარჯვეს, 1:0 მოიგეს ტურნირის ჩემპიონის წოდებაც მოიპოვეს.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს ავაზელი ბაჩო გულიშვილი, მეკარედ — ირაკლი გაგუა, თავდამსხმელად — სანდრო კობახიძე, 14 გატანილი გოლით ბომბარდირი გახდა ნიკა კერესელიძე.




# საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა

## — ჩვენთვის და ჩვენი მომავლისათვის!

● სახელმწიფო თითოეულ მომავალ დედას აზღვევს ორსულობისა და მშობიარობის ხარჯებისაგან 500 ლარის ფარგლებში, ხოლო თითოეულ ახალშობილს — 1 წლის მანძილზე სამედიცინო მეთვალყურეობისა და მკურნალობის ხარჯებისაგან 2 000 ლარის ფარგლებში.

● მომავალო დედებო! აუცილებლად მიმართეთ ორსულობის 13 კვირამდე ქალთა კონსულტაციას, რათა გააფორმოთ დაზღვევა და მიიღოთ სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის პოლისი.

● გახსოვდეთ: სადაზღვევო პოლისის ფლობა აუცილებელი პირობაა, რომ სამედიცინო დაწესებულებაში სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამით გათვალისწინებული უფასო მეთვალყურეობა და სამეანო დახმარება გაგიწიონ.



# უსაფრთხო დედობისა და ბავშვთა გადარჩენის

## სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა

# საქართველო — რუსეთი

მოახლოვდა დიდი რაგბი და ყველაფერიც გადასარევად აეწყო: თუ შარშან ერთი კვირის მანძილზე ჯერ ქართველმა კალათბურთელებმა დაამარცხეს ბოსნიელები, მერე ქართველმა ფეხბურთელებმა — ბულგარელები, ბოლოს კი ქართველმა მორაგბეებმა — გერმანელები, წელს აშკარად იგივე მეორდება: ქართველმა კალათბურთელებმა უკვე აჯობეს იუგოსლავებს, ფეხბურთელებმა — პორტუგალებს. ჰოდა, ჯერი თავისთავად მიდგა მორაგბეებზე, რომლებსაც ახლა რუსეთის ძლევა მართებთ.

ჩვენი „ბორჯღალოსნები", რა თქმა უნდა, ოდენ იღბლის ანაც დამთხვევების იმედად არ არიან. ხელი თავადაც გამოუღიათ და ყოფილი ბატონის გასამწარებლად სერიოზულად ემზადებიან.

მწვრთნელებს — გურამ მოდებაძეს, დავით კილასონიასა და მალხაზ ჭეიშვილს 26 რჩეული შეუკრებიათ დილმის საკალათბურთო ბაზაზე და საფეხბურთო მოედანზე წვრთნიან. ამაში უდაოა სპორტის დეპარტამენტის წვლილი, რომელიც სამკვიდრომოკლებულ რაგბს მუდამ ექომაგება.

ნუხელ ნაკრებს საფრანგეთიდან კიდევ ორი ცნობილი მოთამაშე შემოემატებოდა. აი, რუსეთთან თამაშის კანდიდატთა სრული სია:

უკანა ხაზი: პალიკო ჯიმშელაძე, ლევან ჩიქვინიძე, მერაბ ბესელია, გიორგი ბუგიანიშვილი, კახა მაჩიტიძე, შოთა მოდებაძე და ზაზა ხუციშვილი (ყველა — გუმარი); სპირიდონ ლიპარტელიანი და ბესო ტეფნაძე (ყოჩები); კახა ალანია და ვასიკო კაცაძე (ქორები); ნიკოლოზ იურინი (რუსეთი)

მოჯრკინალები: დიმიტრი ობოლაძე (კაპიტანი), მევლუდ მთიულიშვილი, ლევან ცაბაძე, სოსო პარწიკანაშვილი, ზურაბ მჭედლიშვილი, კახა კობახიძე და ვიქტორ დიდებულიძე (გუმარი); ირაკლი ჩიქავა, ზაზა ლეჟავა და რატი ურუშაძე (ყოჩები); დავით ვართანიანი და გია გიუნაშვილი (ქორები); გელა ფირცხალავა (აია); გია ლაბაძე (რუსეთი) და კიდევ, ვანო ნადირაძე და გია რაფავა (საფრანგეთი)

დიდი მუშაობაა საორგანიზაციო ფრონტზეც. გუშინ რაგბის კავშირის დელეგაციამ მოიხილა ეროვნული სტადიონი და ამ ბაზის უფროსობასთან რაგბის გამართვის დეტალები დააზუსტა. სხვათა შორის, მიღებულია გარანტია, რომ მოედანი წესისამებრ გაეწყობა — შარშანდელის დარად მოიხსნება ფეხბურთის, ხოლო დაიდგმება რაგბის კარები. არადა, ჭორად იყო დარხეული, შარშანს აქეთ გარკვეული მოსაზრებების გამო ეროვნულზე ფეხბურთის კარები დააბეტონესო (!?). მართლაც ასე რომ იყოს, სხვა ბურთაობებს ქვეყნის უპირველეს სარბიელზე ველარ შეესვლებათ.

რაგბის კავშირმა საფეხბურთო ვნებათღელვას ჩაცხრობა აცალა და გუშინდლიდან ქალაქში უამრავ ადგილზე გააკრა საფრანგეთში დაბეჭდილი აფიშები. იყიდება ბილეთებიც. ისინი სამნაირია: დასავლეთი ტრიბუნის მეორე იარუსისა 5 ლარი ღირს, ამავე ტრიბუნის პირველი იარუსისა — 3 ლარი, ხოლო ყველა დანარჩენი — 2 ლარი.




# უმადურობა

ბრდღვინავენ სამხრეთ აფრიკელი გულშემატკივრები. ნაკრების ახალმა და ხელმოცარულმა მწვრთნელმა ანდრე მარკპრააფმა, ვისი ხელმძღვანელობითაც მსოფლიო თასის მფლობელი „ქურციკები" წელს ოთხჯერ დამარცხდნენ ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსთან", გუნდიდან დაითხოვა 29 წლის ღვაწლმოსილი კაპიტანი, ტრანსვაალის ფლანკერი ფრანსუა პინარი, აქაოდა უპერსპექტივოაო.

პინარს მიაყოლეს დას. კონცხის 10 ნომერი ჯოელ სტრანსკი, ვისმა გოლებმაც, მეტადრე კი გადამწყვეტმა არეკნმა „ქურციკებს" შარშანდელი მსოფლიო თასის ფინალში გაამარჯვებინა. პინარისაგან განსხვავებით, ეს კაცი ფორმიდან ისე ამოვარდნილა, რომ ძირითადი შემადგენლობიდან მის პროვინციასაც დაუთხოვია.

მარკპრააფმა პინარი და სტრანსკი არ შეიყვანა იმ 36 კაცის სიაში, ნოემბერდეკემბერში არგენტინა, საფრანგეთი და უელსი რომ უნდა მოვლონ. სამაგიეროდ, გუნდშია ნატალის გარემარბი ჯეიმზ სმოლი, ვისზეც მარკპრააფი მანამდე იყო გადაკიდებული.

ქვეყანა გადარეულია. რადიო-სადგურების ტელეფონები გამუდმებით რეკენ. გულშემატკივრები პინარის გუნდში აღდგენასა და მარკპრააფის მოხსნას ითხოვენ.

საზოგადოებრივი აზრი გამოიკითხა პრესამაც. 70 ათასი რესპონდენტიდან ექსკაპიტნის მხარე დაიჭირა 67 ათასმა (!)

ხალხი იმასაც პკვირობს, თუ მარკპრააფის აზრით პინარი იმიტომაა უპერსპექტივო, რომ ასაკის გამო 1999 წლის მსოფლიო თასამდე ვერ მიატანს, მაშ, გუნდში მისსავე ამპლუაში რაღად იხმო 32 წლის თეო უსტპოიზენი, რომელიც რიგითი პროვინციის — გრიკვალენდის მოთამაშეაო. ისე კი, ვიდრე „ქურციკებს" ჩააბარებდნენ, მარკპრააფი შეთავსებით ყოფილა სწორედ მაგ გრიკვალენდის პრეზიდენტიცა და მწვრთნელიც (?!)

პინარი დაიცვა მსოფლიო თასის მოგები გუნდის მოძღვარმა ქიჩ ქრისტიმაც, ვინაც თავისი მემკვიდრის საქციელს სამარცხვინო უწოდა. ხელი დაიბანა „ქურციკთა" სელექტორმა რეი მორდტმაც, ვინაც ორი წლის შემდეგ გადადგა, ასეო და ამიტომაც გამჭირდება ტრანსვაალის მწვრთნელობისა და ნაკრების სელექტორობის შეთავსებაო.

საზოგადოება პროტესტის უკიდურეს ფორმას გეგმავს: ამ შაბათს პრეტორიაში შინაური ქარრის თასის დიდი მატჩი რომაა, მის ბოიკოტს მოითხოვს. ამ დღეს ტრანსვაალი, რომელსაც პინარი კაპიტნობს, ეწვევა ჩრდ. ტრანსვაალს.

ქარრის თასის მეოთხედფინალები წინა უქმეებზე — პარასკევ საღამოსა და შაბათს გაიმართა. კვირაობით აფრიკანერები უქმობენ და ეკლესიაში დადიან.

11. X პრეტორია. ჩრდ. ტრანსვაალი (ბ ქვეჯგუფის 1-ლი) 55 (17) (7ლ, 4გ, 4ს) — ბოლანდი (ა4) 23 (6) 2ლ, 2გ, 3ს)

ბლუმფონტეინი. ნარინჯი (ბ2) 21 (12) (2ლ, გ, 3ს) — სამხ. ალმ. ტრანსვაალი (ა2) 3 (3) (ს)

12. X: დურბანი. ნატალი (ა1) 51 (32) (7ლ, 2გ, 3ს, ა) — გრიკვალენდი (ბ4) 3 (3) (ს)

იოჰანესბურგი. ტრანსვაალი (ა2) 56 (16) (7ლ, 6გ, 3ს) — დას. კონცხი (ბ3) 22 (14) (3ლ, 2გ, ს)

ნახევარფინალები (19. X): ნატალი — ნარინჯი; ჩრდ.ტრანსვაალი — ტრანსვაალი




## მედიის საყურადღებოდ

რაგბის კავშირის ოფისში (სპორტის დეპარტამენტის შენობის მარცხენა ფრთა, III სართული) მატჩის წინადღით —

* შაბათს, 19 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე დაიწყება

## პრეს-კონფერენცია

რომლის დროსაც ჟურნალისტებს წარუდგენენ მეტოქე გუნდების მწვრთნელებსა და მოწინავე მოთამაშეებს.

იქვე გაიცემა ცალკე მწერალთა და ცალკე ფოტოგრაფთა სააკრედიტაციო ბარათები. ყოველგვარი სხვა საშვი რაგბის მატჩის განმავლობაში ძალადაკარგულად მიიჩნევა.



## წინა კვირაში

ქალები. ფილდერშტადტი (გერმანია). მეოთხედფინალი: მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 8) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 1) 6:1, 6:4; ანკე ჰუბერი (გერმანია, 5) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 2) 6:1, 6:3; იუდით ვიზნერი (ავსტრია) — ივა მაიოლი (ხორვატია, 3) 6:4, 7:5; ლინდზი დავენპორტი (აშშ, 4) — იანა ნოვოტნა (ჩეხეთი, 6) 6:3, 6:4

ნახევარფინალი: ჰინგისი — დავენპორტი 3:6, 6:2, 6:3; ჰუბერი — ვიზნერი 6:1, 6:1

ფინალი: ჰინგისი — ჰუბერი 6:2, 3:6, 6:3

ვაჟები. ვენა. მეოთხედფინალი: იან სიმერინკი (ჰოლანდია) — სტეფან ედბერგი (შვედეთი) 7:5, 5:7, 7:6; არნო ბეჩი (საფრანგეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 3) 7:6 (7-5), 7:6 (7-2); ბორის ბეკერი (გერმანია, 5) — მარკ როსე (შვეიცარია) 7:6 (11-9), 7:5; თოდ მარტინი (აშშ, 7) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 2) 4:6, 6:3, 6:3

ნახევარფინალი: სიმერინკი — ბეჩი 7:6, 6:4; ბეკერი — მარტინი 3:6, 6:4, 6:2

ფინალი: ბეკერი — სიმერინკი 6:4, 6:7 (7-9), 6:2, 6:3

## რეკორდი არ ჩაითვლება

პეკინი. ნახევარფინალი: გრეგ რუზეცკი (ბრიტანეთი) — ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე, 4) 6:2, 6:2; მარტინ დამი (ჩეხეთი) — თომას იოჰანსონი (შვედეთი) 7:6 (7-5), 3:6, 6:3

ფინალი: რუზეცკი — 7:6 (7-5), 6:4

ამ შეჯიბრის მერვედფინალში რუზეცკიმ ფრანგ ჟან-ფილიპ ფლერიანს მატჩპოინტი 225 კმ-სთ-იანი ეისით ჩაუგდო. ახლა ირკვევა, რომ ეს შედეგი ვერ დამტკიცდება სწრაფი მოწოდების ახალ მსოფლიო რეკორდად. საქმე ისაა, რომ ატპ-ის ტურის აპარატურის დილერ IDS-ს ჩინეთში თურმე არ მიუვლენია თავისი წარმომადგენელი, რის გამოც სიჩქარის მზომი ხელსაწყო სათანადოდ რეგულირებული ვერ ყოფილა.

ამ ამბავს ატპ-ის კომუნიკაციის დირექტორმა სთივ ქეისიმ სავალალო შემთხვევა უწოდა, რუზეცკიმ კი ამაყად განაცხადა, რაწამს ის ბურთი მოვაწოდე, მთელი სხეულით ვიგრძენი, რომ ჩემსა და ავსტრალიელი მარკ ფილიპუსისის საზიარო რეკორდს გადავაჭარბეო.

## ლაკოსტიც მიიცვალა

კვირას შინ, სამხრეთ-დასავლეთი საფრანგეთის დაბა სენ-ჟან-დე-ლუსში, 92 წლისა, ცნობილ „მუშკეტერთაგან" უკანასკნელი აღესრულა რენე ლაკოსტი. მასა და მის თანაგუნდელებს — ანრი კოშეს, ჟან ბოროტრას და ჟაკ ბრუნიონს 1927-32 წლებში ზედიზედ 6-ჯერ მოუგიათ დევისის თასი, 1924-29 წლებში კი უიმბლდონის მთავარი ჯილდო არავისთვის გაუტანებიათ.

სიყრმითვე ავადმყოფ ლაკოსტს ჩოგბურთის თამაში 16 წლისას დაუწყია, 18 წლისა კი ქვეყნის ჩემპიონი გამხდარა. იგი 1926-27 წლებში მსოფლიოს პირველი ჩოგანიც იყო, ახლანდელი დიდი სლემის ტურნირებზე კი ერთეულთა თანრიგში 7-ჯერ გაუმარჯვია: უიმბლდონში — 1925 და 1929 წლებში, აშშ-ში — 1926-27 წლებში, ხოლო შინ — 1925, 1927 და 1929 წლებში.

ლაკოსტს მაინც უჭირდა სუნთქვა. 25 წლისამ სპორტს თავი მიანება და ბიზნესში გადაერთო, სადაც არანაკლებ გამოიჩინა თავი. მისი დიზაინით ახლაც გამოდის სახელგანთქმული პოლოს კვართები, რომლებსაც „ლაკოსტი" ჰქვია, ლოგოდ კი ნიანგი ახატია, რაკი რენეს ჩოგბურთელობისას ამგვარად უხმობდნენ.

ლაკოსტს ცოლად ჰყავდა გამოჩენილი მეგოლფე ქალი სიმონ თიონ-ლაშომი. ნყვილს სამი ვაჟი და ერთი ქალი დარჩა. დიდი ჩოგბურთელი ორშაბათს შინ, პომპეზურობის გარეშე დაკრძალეს.

## ამ კვირაში

### ჰინგისი ძალაა!

16 წლის ჰინგისმა, ვინაც ფილდერშტადტში კარიერის პირველი ტიტული მოიხვეჭა და ქალ ჩოგბურთელმა მოწინავე ათეულში დამკვიდრდა, წარმატებით დაიწყო შინ, ციურიხში მიმდინარე ევროპის ჭერქვეშა პირველობაც. ნორჩმა ტალანტმა, იქ მე-5 ნომრად რომაა განთესილი, სამშაბათს 49 წუთში დაანგრია ვტა-ს 31-ე ჩოგანი, იაპონელი ნაოკო სავამაცუ 6:0, 6:1. ამავე დღეს 20 წლის ექს-ტალანტმა და გამოსწორებულმა ნარკომანმა, ამერიკელმა ჯენიფერ კაპრიატიმ, კლასიფიკაციაში 224 ქულით მე-60 ადგილზე რომაა, გააგდო არგენტინელი გაბრიელა საბატინი 6:3, 6:4. ეს ქალი იმავე ნუსხაში უკვე 29-ე პოზიციამდე ჩამოქვეითებულა.

ჩეხეთის ჭერქვეშა პირველობა ოსტრავაში მიმდინარეობს. უიმბლდონის წლევანდელი ჩემპიონი, ჰოლანდიელი რიხარდ კრაიჩეკი (4) ჩეხეთშია დაბადებული, მაგრამ გერმანელმა დავიდ პრინოზილმა პირველსავე წრეში 6:4, 6:3 დაამარცხა. სამაგიეროდ, მეორე წრეში გავიდნენ აფრიკელი ვეინ ფერერა (2), ამერიკელი თოდ მარტინი (5) და გერმანელი მიხაელ შტიხი (6). ფავორიტი ბორის ბეკერი (1) კი ნუხელ ჩაებმებოდა ასპარეზობაში.




აპ-ის ფოტო

ამათ გარდა, ამ კვირაში ტურის კიდევ ორი შეჯიბრია — ისრაელის ღია პირველობა (რამათ-ჰაშარონში) და ტულუზის გრან-პრი (საფრანგეთში). ტურში არ შედის დიდი შოუ — ჰონკონგში მიმდინარე „მარლბოროს ჩემპიონატი".

იქ 12 ვაჟი ასპარეზობს. ისინი ოთხ — ვერცხლის, ოქროს, წითელ და ლურჯ ჯგუფად არიან დაყოფილი. მათი გამარჯვებულები მერე ნახევარფინალში გავლენ.

სამპრასი ვერცხლის ჯგუფის რჩეულია. მუსტერმა, რომელიც ოქროსაში გაუმწესებიათ, განაცხადა, თუ გაისად დევისის თასზე წესრიგი არ დამყარდა, აღარ ვითამაშებ. ბრაზილიელ ვაი-გულშემატკივართა უმსგავსობას რომ წაუყრუეს, ჩოგბურთის მამები საქმეს იქამდე მიიყვანენ, რომ ვინმე მაგრად დაშავდებაო.

ჰონკონგშივე, წითელი ჯგუფის პირველ თამაშამდე 12 საათით ადრე ჩაფრინდა საფრანგეთის ჩემპიონი კაფელნიკოვი. უენიამ წვიმის მიერ ორგზის გაწყვეტილი მატჩი 4:6, 6:4, 4:6 წააგო ავსტრალიელ პატ რაფთერთან, მაგრამ საბოლოო გამარჯვების შანსი არ დაუკარგავს.

ირაკლი ნიჟუა

ატპ-ის კლასიფიკაციის მეწინავე დუეინი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | პიტ სამპრასი | აშშ | 4740 |
| 2 | მაიქლ ჩანგი | აშშ | 3822 |
| 3 | თომას მუსტერი | ავსტრია | 3612 |
| 4 | ევგენი კაფელნიკოვი | რუსეთი | 3253 |
| 5 | გორან ივანიშევიჩი | ხორვატია | 3165 |
| 6 | ბორის ბეკერი | გერმანია | 3041 |
| 7 | ვეინ ფერერა | სამხ. აფრიკა | 2604 |
| 8 | რიხარდ კრაიჩეკი | ჰოლანდია | 2410 |
| 9 | ანდრე აგასი | აშშ | 2292 |
| 10 | მარსელო რიოსი | ჩილე | 1979 |
| 11 | თოდ მარტინი | აშშ | 1951 |
| 12 | თომას ენკვისტი | შვედეთი | 1895 |

ვტა-ს კლასიფიკაციის მეწინავე დუეინი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | მონიკა სელეში | აშშ | 3416 |
| | შტეფი გრაფი | გერმანია | 3359 |
| 2 | არანჩა სანჩესი | ესპანეთი | 2055 |
| 3 | კონჩიტა მარტინესი | ესპანეთი | 1975 |
| 4 | ანკე ჰუბერი | გერმანია | 1748 |
| 5 | ლინდზი დავენპორტი | აშშ | 1557 |
| 6 | ივა მაიოლი | ხორვატია | 1523 |
| 7 | კიმიკო დატე | იაპონია | 1415 |
| 8 | იანა ნოვოტნა | ჩეხეთი | 1407 |
| 9 | მარტინა ჰინგისი | შვეიცარია | 1381 |
| 10 | მერი-ჯო ფერნანდესი | აშშ | 1140 |
| 11 | ბრენდა შულცი | ჰოლანდია | 956 |

საქართველოს რაგბის კავშირი და ვეტერან მორაგბეთა ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 55 წლისა გარდაიცვალა ძველი მორაგბე, 1960-იანი წლების „დინამოს" ნახევარმცველი

შევაზ კოდუა

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29

# სარბიელი და CROCO წარმოგიდგენთ

# სპორტული ლატარია №4

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები სამივე შესაძლო შედეგისთვის. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და შედეგის შესაბამისი კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგის შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და შესაბამისად მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის კოეფიციენტი 4,5 ტოლია. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა. შ.) ერთი და იგივე მატჩის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგალითად: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1).

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება შემდეგ შემთხვევაში:

1. ფსონი დადებულია მატჩის დამთავრების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (საკლუბო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონები, რომლებიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე).
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება).
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა.
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი.
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

იმ შემთხვევაში, როცა ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვერა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის კოეფიციენტად ჩაითვლება 1 (ერთი) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით, გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია საკლუბო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ.

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა პატრონს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში.

იმ შემთხვევაში, როცა ქვითრის ორი მხარე ერთნაირად არ არის შევსებული, განსახილველად მიიღება კროკოს ადმინისტრაციაში შემოსულ ნაწილზე მითითებული ვარიანტი.

ფსონის მინიმალური ოდენობა: ერთ ვარიანტზე 50 თეთრი. ერთ ვარიანტში არ შეიძლება გადამრავლდეს 20 მატჩზე მეტი.

### ქვითრის შევსების ნიმუშები:

| | |
|---|---|
| ინტერი — კალიარი | 1 |
| 1 ლარი | |
| ინტერი — კალიარი | 1 |
| პარმა — ლაციო | 1X |
| რომა — ნაპოლი | 1 |
| სამპდორია — მილანი | X2 |
| იუვენტუსი — ფიორენტინა | 0:0 |
| 4 ვარიანტი | |
| 4X1 ლარი-4 ლარი | |
| ინტერი — კალიარი | 1 |
| პარმა — ლაციო | X |
| რომა — ნაპოლი | 1 |
| სამპდორია — მილანი | 2 |
| იუვენტუსი — ფიორენტინა | X |
| 5-1 5 ვარიანტი | |
| 5X1 ლარი=5 ლარი | |

## გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური. (18-20.10)

| თარიღი | წყვილი (ბოლო ორი მატჩი) | ძირითადი დრო | | | ჰანდიკაპი | | | | 95-96 | | 94-95 | | 93-94 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.10 | ბოხუმი — მიუნხენი<br>დიუსელდორფი 2:2 ს; ზანქტ პაული 4:2 შ<br>დორტმუნდი 1:0 შ; მიონხენგლადბახი 0:1 ს | 1,5 | 2,8 | 4,4 | – | – | – | – | – | – | 2:2 | 0:4 | – | – |
| | ლევერკუზენი — შტუტგარტი<br>კარლსრუე 1:1 ს; ჰანზა 2:2 ს<br>ჰანზა 4:1 შ; ფრაიბურგი 4:2 შ | 1,9 | 2,6 | 3,0 | – | – | – | – | 0:0 | 4:1 | 3:1 | 2:4 | 1:1 | 4:1 |
| 19.10 | ზანქტ. პაული — ფრაიბურგი<br>მიუნხენი 2:4 ს; მიონხენგლადბახი 1:0 შ<br>დიუსელდორფი 3:0 შ; შტუტგარტი 2:4 ს | 1,8 | 2,6 | 3,2 | – | – | – | – | 1:1 | 2:0 | – | – | – | – |
| | კარლსრუე — ვერდერი<br>ლევერკუზენი 1:1 შ; შალკე 3:0 შ<br>შალკე 1:0 ს; არმინია 1:3 ს | 1,5 | 2,7 | 4,7 | – | – | – | – | 1:1 | 0:1 | 3:1 | 1:2 | 0:3 | 2:0 |
| | შალკე — ჰამბურგი<br>ვერდერი 0:3 ს; არმინია 2:2 შ<br>კარლსრუე 0:1 შ; ბაიერნი 1:2 ს | 1,7 | 2,7 | 3,4 | – | – | – | – | 3:0 | 1:1 | 0:1 | 0:3 | 1:0 | 1:4 |
| | არმინია — კიოლნი<br>ჰამბურგი 2:2 ს; ბაიერნი 2:4 შ<br>ვერდერი 3:1 შ; დუისბურგი 0:3 ს | 2,3 | 2,4 | 2,3 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – |
| | დუისბურგი — დიუსელდორფი<br>დორტმუნდი 0:2 ს; ბოხუმი 2:2 შ<br>კიოლნი 3:0 შ; ზანქტ პაული 0:3 ს | 1,6 | 2,8 | 3,8 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – |
| | მიონხენგლადბახი — ჰანზა<br>ფრაიბურგი 0:1 ს; შტუტგარტი 2:2 შ<br>მიუნხენი 1:0 შ; ლევერკუზენი 1:4 ს | 1,3 | 3,0 | 6,5 | – | – | – | – | 3:2 | 3:2 | – | – | – | – |
| 20.10 | ბაიერნი — დორტმუნდი<br>კიოლნი 4:2 ს; დუისბურგი 2:0 შ<br>ჰამბურგი 2:1 შ; ბოხუმი 0:1 ს | 1,4 | 2,9 | 5,3 | – | – | – | – | 1:0 | 1:3 | 2:1 | 0:1 | 0:0 | 1:1 |

X ტური: დორტმუნდი — დუისბურგი 2:0
ჰამბურგი — არმინია 2:2
ვერდერი — შალკე 3:0
კარლსრუე — ლევერკუზენი 1:1
ჰანზა — შტუტგარტი 2:2
ფრაიბურგი — მიონხენგლადბახი 1:0
მიუნხენი — ზანქტ პაული 4:2
დიუსელდორფი — ბოხუმი 2:2
კიოლნი — ბაიერნი 2:4

XII ტური: დორტმუნდი — არმინია
ჰამბურგი — კარლსრუე
ვერდერი — ლევერკუზენი
შტუტგარტი — მიონხენგლადბახი
ჰანზა — ზანქტ პაული
ფრაიბურგი — ბოხუმი
მიუნხენი — დუისბურგი
დიუსელდორფი — ბაიერნი
კიოლნი — შალკე

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | შტუტგარტი | 10 | 7 | 2 | 1 | 28-10 | 23 | 5 | 4 | 0 | 1 | 14-5 | 12 | 5 | 3 | 2 | 0 | 14-5 | 11 |
| 2. | ბაერნი | 10 | 7 | 2 | 1 | 20-11 | 23 | 5 | 4 | 1 | 0 | 9-4 | 13 | 5 | 3 | 1 | 1 | 11-7 | 10 |
| 3. | ლევერკუზენი | 10 | 7 | 1 | 2 | 25-14 | 22 | 5 | 4 | 0 | 1 | 16-7 | 12 | 5 | 3 | 1 | 1 | 9-7 | 10 |
| 4. | დორტმუნდი | 10 | 6 | 1 | 3 | 19-14 | 19 | 5 | 4 | 1 | 0 | 12-3 | 13 | 5 | 2 | 0 | 3 | 7-11 | 6 |
| 5. | კარლსრუე | 10 | 5 | 2 | 3 | 18-12 | 17 | 5 | 3 | 1 | 1 | 11-5 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 6. | ვერდერი | 10 | 5 | 1 | 4 | 22-13 | 16 | 5 | 4 | 1 | 0 | 13-2 | 13 | 5 | 1 | 0 | 4 | 9-11 | 3 |
| 7. | კიოლნი | 10 | 5 | 1 | 4 | 15-14 | 16 | 5 | 3 | 0 | 2 | 9-6 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 6-8 | 7 |
| 8. | ბოხუმი | 10 | 4 | 4 | 2 | 14-14 | 16 | 5 | 4 | 1 | 0 | 9-3 | 13 | 5 | 0 | 3 | 2 | 5-11 | 3 |
| 9. | დიუსელდორფი | 10 | 4 | 2 | 4 | 8-15 | 14 | 5 | 1 | 2 | 2 | 3-7 | 5 | 5 | 3 | 0 | 2 | 5-8 | 9 |
| 10. | მიუნხენი | 10 | 4 | 1 | 5 | 17-18 | 13 | 5 | 3 | 0 | 2 | 13-11 | 9 | 5 | 1 | 1 | 3 | 4-7 | 4 |
| 11. | მ. გლადბახი | 10 | 3 | 2 | 5 | 10-11 | 11 | 5 | 3 | 1 | 1 | 10-4 | 10 | 5 | 0 | 1 | 4 | 0-7 | 1 |
| 12. | ჰამბურგი | 10 | 3 | 2 | 5 | 15-18 | 11 | 5 | 2 | 2 | 1 | 11-8 | 8 | 5 | 1 | 0 | 4 | 4-10 | 3 |
| 13. | შალკე 04 | 10 | 2 | 4 | 4 | 9-16 | 10 | 5 | 0 | 3 | 2 | 3-5 | 3 | 5 | 2 | 1 | 2 | 6-11 | 7 |
| 14. | ჰანზა | 10 | 2 | 3 | 5 | 12-16 | 9 | 5 | 0 | 2 | 3 | 6-10 | 2 | 5 | 2 | 1 | 2 | 6-6 | 7 |
| 15. | ფრაიბურგი | 10 | 3 | 0 | 7 | 14-28 | 9 | 5 | 3 | 0 | 2 | 7-7 | 9 | 5 | 0 | 0 | 5 | 7-21 | 0 |
| 16. | დუისბურგი | 10 | 2 | 2 | 6 | 9-16 | 8 | 5 | 2 | 0 | 3 | 7-10 | 6 | 5 | 0 | 2 | 3 | 2-6 | 2 |
| 17. | ზანქტპაული | 10 | 2 | 2 | 6 | 13-23 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 8-9 | 5 | 5 | 1 | 0 | 4 | 5-14 | 3 |
| 18. | არმინია | 10 | 1 | 4 | 5 | 10-15 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 5-6 | 4 | 5 | 0 | 3 | 2 | 5-9 | 3 |

| № | ბუნდესლიგა 1996-97 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არმინია ბილეფელდი | | | | | 1:1 | 3:1 | 1:2 | | | 0:1 | | | | | 0:1 | | | |
| 2 | ბაიერნი მიუნხენი | 1:0 | | 1:1 | 1:0 | | | | 1:0 | | 4:2 | | | | | | | 2:1 | |
| 3 | ბოხუმი | 1:1 | | | | 1:0 | | | 3:1 | | | | | | | | | 3:1 | |
| 4 | ბორუსია დორტმუნდი | | | | | 2:0 | | 2:1 | | | | | | 4:0 | 3:1 | | 1:1 | | |
| 5 | დუისბურგი | | 0:4 | | | | 3:2 | | | 3:0 | 1:3 | | | | | 0:1 | | | |
| 6 | ვერდერი ბრემენი | | 3:0 | 5:1 | | | | | | | | 1:0 | | | | 3:0 | | | 1:1 |
| 7 | ზანქტ პაული ჰამბურგი | | 1:2 | | | | 0:3 | | | 0:0 | | | | 3:0 | | 4:4 | | | |
| 8 | კარლსრუე | 5:2 | | | | 1:0 | | 4:0 | | | 1:1 | | | | | | 0:2 | | |
| 9 | კიოლნი | | 2:4 | 2:0 | | | | | | | | 4:0 | 1:0 | | | | | | 0:2 |
| 10 | ბაიერი ლევერკუზენი | | | | 4:2 | | | | | | | | 3:0 | 0:1 | 5:3 | | | | 4:1 |
| 11 | ბორუსია მიონხენგლადბახი | 0:0 | | | 5:1 | | | | 1:3 | | | | 1:0 | | | | | 3:0 | |
| 12 | მიუნხენი 1860 | | | | 1:3 | | | 4:2 | | | | | | | 4:0 | | 2:5 | 2:1 | |
| 13 | ფორტუნა დიუსელდორფი | | | 2:2 | | | | | | 0:3 | | 1:0 | 0:0 | | | | | | 0:2 |
| 14 | ფრაიბურგი | | | | | | 3:2 | | | 1:3 | | 1:0 | | 1:2 | | | | | 1:0 |
| 15 | შალკე 04 გელზენკირხენი | | 1:1 | 1:1 | | | | | 0:1 | | 1:2 | 0:0 | | | | | | | |
| 16 | შტუტგარტი | | | | | | 2:1 | | | 4:0 | | | | 0:2 | 4:2 | 4:0 | | | |
| 17 | ჰამბურგი | 2:2 | | | | 1:1 | | 3:0 | | | | | | | 5:1 | | 0:4 | | |
| 18 | ჰანზა როსტოკი | | | | 0:1 | | | | 2:2 | | | | 2:4 | | | | 2:2 | 0:1 | |

# ინგლისის ჩემპიონატი. X ტური. (19-20.10)

| თარიღი | წყვილი (ბოლო ორი მატჩი) | | | ძირითადი დრო | | | ჰანდიკაპი | | | | 95-96 | | 94-95 | | 93-94 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.10 | არსენალი — ქოვენთრი | ბლექბერნი 2:0 ს<br>სანდერლენდი 2:0 შ | საუთჰემპტონი 1:1 შ<br>ბლექბერნი 0:0 შ | 1,05 | 5,0 | 10,0 | 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 | 1:1 | 0:0 | 2:1 | 1:0 | 0:3 | 1:0 |
| | ასტონ ვილა — ლიდსი | ტოტენჰემი 0:1 ს<br>ნიუკასლი 3:4 ს | ნოტინგემი 2:0 შ<br>ლესტერი 0:1 ს | 1,3 | 3,0 | 6,5 | — | — | — | — | 3:0 | 0:2 | 0:0 | 0:1 | 1:0 | 0:2 |
| | ჩელსი — უიმბლდონი | ლესტერი 3:1 ს<br>ნოტინგემი 1:1 შ | შეფილდი 4:2 შ<br>დერბი 2:0 ს | 1,35 | 3,1 | 5,3 | — | — | — | — | 1:2 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 2:0 | 1:1 |
| | მიდლსბრო — ტოტენჰემი | სანდერლენდი 2:2 ს<br>საუთჰემპტონი 0:4 ს | ასტონ ვილა 1:0 შ<br>მანჩესტერი 0:2 ს | 1,5 | 3,0 | 4,0 | — | — | — | — | 0:1 | 1:1 | — | — | — | — |
| | ნოტინგემი — დერბი | ლიდსი 0:2 ს<br>ჩელსი 1:1 ს | ნიუკასლი 0:1 შ<br>უიმბლდონი 0:2 შ | 1,45 | 3,0 | 4,4 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | შეფილდი — ბლექბერნი | უიმბლდონი 2:4 ს<br>ევერტონი 0:2 ს | არსენალი 0:2 შ<br>ქოვენთრი 0:0 ს | 1,2 | 3,4 | 7,0 | — | — | — | — | 2:1 | 0:3 | 0:1 | 1:3 | 1:2 | 1:1 |
| | საუთჰემპტონი — სანდერლენდი | ქოვენთრი 1:1 ს<br>მიდლსბრო 4:0 შ | მიდლსბრო 2:2 შ<br>არსენალი 0:2 ს | 1,4 | 3,0 | 5,0 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | ვესტ ჰემი — ლესტერი | ევერტონი 1:2 ს<br>ლივერპული 1:2 შ | ჩელსი 1:3 შ<br>ლიდსი 1:0 შ | 1,4 | 3,0 | 5,0 | — | — | — | — | — | — | 1:0 | 2:1 | — | — |
| 20.10 | ლივერპული — ევერტონი | მანჩესტერი 0:1 ს<br>ვესტ ჰემი 2:1 ს | ვესტ ჰემი 2:1 შ<br>შეფილდი 2:0 შ | 1,3 | 3,0 | 6,5 | — | — | — | — | 1:2 | 1:1 | 0:0 | 0:2 | 2:1 | 0:2 |
| | ნიუკასლი — მანჩესტერი | დერბი 1:0 ს<br>ასტონ ვილა 4:3 შ | ლივერპული 1:0 შ<br>ტოტენჰემი 2:0 შ | 1,6 | 2,8 | 3,8 | — | — | — | — | 0:1 | 0:2 | 1:1 | 0:2 | 1:1 | 1:1 |

IX ტური: ბლექბერნი — არსენალი 0:2, ქოვენთრი — საუთჰემპტონი 1:1, დერბი — ნიუკასლი 0:1, ევერტონი — ვესტ ჰემი 2:1, ლიდსი — ნოტინგემი 2:0, ლესტერი — ჩელსი 1:3, მანჩესტერი — ლივერპული 1:0, სანდერლენდი — მიდლსბრო 2:2, ტოტენჰემი — ასტონ ვილა 1:0, უიმბლდონი — შეფილდი 4:2

XI ტური: არსენალი — ლიდსი, ჩელსი — ტოტენჰემი, ქოვენთრი — შეფილდი, ლესტერი — ნიუკასლი, ლივერპული — დერბი, მიდლსბრო — უიმბლდონი, ნოტინგემი — ევერტონი, საუთჰემპტონი — მანჩესტერი, სანდერლენდი — ასტონ ვილა, ვესტ ჰემი — ბლექბერნი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ნიუკასლი | 9 | 7 | 0 | 2 | 15-10 | 21 | 4 | 3 | 0 | 1 | 9-6 | 9 | 5 | 4 | 0 | 1 | 6-4 | 12 |
| 2. | არსენალი | 9 | 6 | 2 | 1 | 19-8 | 20 | 4 | 3 | 1 | 0 | 11-4 | 10 | 5 | 3 | 1 | 1 | 8-4 | 10 |
| 3. | ლივერპული | 9 | 6 | 2 | 1 | 18-7 | 20 | 4 | 3 | 1 | 0 | 9-2 | 10 | 5 | 3 | 1 | 1 | 9-5 | 10 |
| 4. | მანჩესტერი | 9 | 5 | 4 | 0 | 19-6 | 19 | 5 | 3 | 2 | 0 | 11-5 | 11 | 4 | 2 | 2 | 0 | 8-1 | 8 |
| 5. | უიმბლდონი | 9 | 6 | 0 | 3 | 16-9 | 18 | 5 | 4 | 0 | 1 | 12-6 | 12 | 4 | 2 | 0 | 2 | 4-3 | 6 |
| 6. | ჩელსი | 9 | 4 | 4 | 1 | 14-11 | 16 | 4 | 2 | 2 | 0 | 5-2 | 8 | 5 | 2 | 2 | 1 | 9-9 | 8 |
| 7. | შეფილდი | 9 | 4 | 1 | 4 | 11-15 | 13 | 4 | 2 | 1 | 1 | 4-4 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 7-11 | 6 |
| 8. | მიდლსბრო | 9 | 3 | 3 | 3 | 16-15 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 11-6 | 7 | 5 | 1 | 2 | 2 | 5-9 | 5 |
| 9. | ასტონ ვილა | 9 | 3 | 3 | 3 | 11-10 | 12 | 4 | 2 | 2 | 0 | 5-2 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 6-8 | 4 |
| 10. | ევერტონი | 9 | 3 | 3 | 3 | 10-11 | 12 | 5 | 3 | 0 | 2 | 7-4 | 9 | 4 | 0 | 3 | 1 | 3-7 | 3 |
| 11. | ტოტენჰემი | 9 | 3 | 2 | 4 | 7-8 | 11 | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 | 4 | 2 | 0 | 2 | 3-3 | 6 |
| 12. | ლესტერი | 9 | 3 | 2 | 4 | 7-12 | 11 | 5 | 2 | 0 | 3 | 4-9 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 3-3 | 5 |
| 13. | სანდერლენდი | 9 | 2 | 4 | 3 | 8-8 | 10 | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 4 |
| 14. | დერბი ქაუნთი | 9 | 2 | 4 | 3 | 8-11 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 5-7 | 5 | 4 | 1 | 2 | 1 | 3-4 | 5 |
| 15. | ლიდსი | 9 | 3 | 1 | 5 | 8-13 | 10 | 5 | 2 | 0 | 3 | 3-7 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| 16. | ვესტ ჰემი | 9 | 2 | 2 | 5 | 8-14 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 17. | ნოტინგემი | 9 | 1 | 4 | 4 | 9-16 | 7 | 4 | 0 | 2 | 2 | 2-7 | 2 | 5 | 1 | 2 | 2 | 7-9 | 5 |
| 18. | საუთჰემპტონი | 9 | 1 | 3 | 5 | 11-13 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 6-3 | 5 | 5 | 0 | 1 | 4 | 5-10 | 1 |
| 19. | ქოვენთრი | 9 | 1 | 3 | 5 | 4-14 | 6 | 5 | 1 | 2 | 2 | 3-6 | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 1-8 | 1 |
| 20. | ბლექბერნი | 9 | 0 | 3 | 6 | 5-13 | 3 | 5 | 0 | 1 | 4 | 2-8 | 1 | 4 | 0 | 2 | 2 | 3-5 | 2 |

| № | პრემიერლიგა 1996-97 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არსენალი ლონდონი | | | | | | 2:0 | | | | | | | | 2:0 | | | | | 4:1 | 3:3 |
| 2 | ასტონ ვილა ბირმინგემი | 2:2 | | 1:0 | 2:0 | | | | | | 0:0 | | | | | | | | | | |
| 3 | ბლექბერნ როვერსი | 0:2 | | | 1:2 | 1:1 | | | 0:1 | | | | | | | | 0:2 | | | | |
| 4 | დერბი ქაუნთი | | | | | | | | 3:3 | | 1:1 | | 0:1 | | 1:0 | | | 0:2 | | | |
| 5 | ევერტონი ლივერპული | | 0:1 | | | | 2:1 | | | | | 1:2 | 2:0 | | | | | | | 2:0 | |
| 6 | ვესტ ჰემ იუნაიტედი ლონდონი | | | | | | | | | 1:2 | | | | | | 2:1 | | 0:2 | 1:1 | | |
| 7 | ლესტერ სიტი | 0:2 | | | | | | | 1:0 | 0:3 | | | | | | 2:1 | | | | | 1:3 |
| 8 | ლიდს იუნაიტედი | | | | | | | | | 0:4 | | | 0:1 | 2:0 | | | | 1:0 | | 0:2 | |
| 9 | ლივერპული | 2:0 | | | | | | | | | | | | | 0:0 | 2:1 | | | | | 5:1 |
| 10 | მანჩესტერ იუნაიტედი | | | 2:2 | | 2:2 | | | | 1:0 | | | | 4:1 | | | 2:0 | | | | |
| 11 | მიდლსბრო | 0:2 | | | | | 4:1 | | | 3:3 | | | | | | | | | 4:0 | | |
| 12 | ნიუკასლ იუნაიტედი | | 4:3 | 2:1 | | | | | | | | | | | | | | 2:0 | | 1:2 | |
| 13 | ნოტინგემ ფორესტი | | | | | | 0:2 | 0:0 | | | | 1:1 | | | 1:4 | | | | | | |
| 14 | სანდერლენდი | | | | | | 0:0 | 0:0 | | | | 2:2 | 1:2 | | | | | | 1:0 | | |
| 15 | საუთჰემპტონი | | | | | | | | | | | 4:0 | | 2:2 | | | 0:1 | | | | 0:0 |
| 16 | ტოტენჰემ ჰოტსპური ლონდონი | | 1:0 | | 1:1 | 0:0 | | 1:2 | | | | | 1:2 | | | | | | | | |
| 17 | უიმბლდონი ლონდონი | | | | | 4:0 | | | | | 0:3 | | | | | 3:1 | 1:0 | | | 4:2 | |
| 18 | ქოვენთრი სიტი | | | 0:0 | | | | | 2:1 | 0:1 | | | | 0:3 | | 1:1 | | | | | |
| 19 | შეფილდ უენსდეი | | 2:1 | | 0:0 | | | 2:1 | | | | | | | | | | | | | 0:2 |
| 20 | ჩელსი ლონდონი | | 1:1 | | | | | | | | | 1:0 | | 1:1 | | | | | 2:0 | | |

# საფრანგეთის ჩემპიონატი. XIII ტური. (19.10)

| თარიღი | წყვილი (ბოლო ორი მატჩი) | | | ძირითადი დრო | | | ჰანდიკაპი | | | | 95-96 | | 94-95 | | 93-94 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.10 | ნანტი — ბორდო | ლილი 3:3 ს<br>ნიცა 7:0 შ | ნანსი 0:1 შ<br>კაენი 0:0 ს | 1,6 | 2,8 | 3,8 | — | — | — | — | 2:0 | 0:3 | 3:3 | 1:1 | 4:1 | 0:2 |
| | მონაკო — ნიცა | ბასტია 0:0 ს<br>რენი 3:1 შ | მონპელიე 1:1 შ<br>ნანტი 0:7 ს | 1,15 | 3,6 | 9,0 | 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 | 1:0 | 2:1 | 0:2 | 1:3 | — | — |
| | ლიონი — მეცი | ლე ავრი 1:4 ს<br>გინგამი 0:1 ს | პ.ს.ჟ. 0:1 შ<br>ლანსი 2:2 ს | 1,6 | 2,6 | 4,2 | — | — | — | — | 1:1 | 1:0 | 1:0 | 1:2 | 2:0 | 1:0 |
| | პარი სენ ჟერმენი — ოსერი | მეცი 1:0 ს<br>ლე ავრი 2:0 შ | ლანსი 1:0 შ<br>კანი 1:1 ს | 1,3 | 3,0 | 6,5 | — | — | — | — | 3:1 | 0:3 | 1:1 | 1:1 | 4:0 | 0:0 |
| | კაენი — სტრასბური | მარსელი 1:0 ს<br>ბორდო 0:0 შ | გინგამი 2:1 შ<br>მარსელი 2:1 შ | 2,5 | 2,5 | 2,2 | — | — | — | — | — | — | 4:0 | 0:1 | 3:1 | 0:3 |
| | ლანსი — რენი | ოსერი 0:1 ს<br>მეცი 2:2 შ | კანი 3:0 შ<br>მონაკო 1:3 ს | 1,5 | 2,6 | 5,0 | — | — | — | — | 1:0 | 1:2 | 5:0 | 1:0 | — | — |
| | ნანსი — მარსელი | ბორდო 1:0 ს<br>ლილი 2:2 შ | კაენი 0:1 შ<br>სტრასბური 1:2 ს | 2,3 | 2,5 | 2,3 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | კანი — ბასტია | რენი 0:3 ს<br>ოსერი 1:1 შ | მონაკო 0:0 შ<br>მონპელიე 1:3 ს | 1,5 | 2,7 | 4,7 | — | — | — | — | 1:0 | 1:2 | 0:0 | 3:6 | — | — |
| | გინგამი — ლე ავრი | სტრასბური 1:2 ს<br>ლიონი 1:0 შ | ლიონი 4:1 შ<br>პ.ს.ჟ. 0:2 ს | 1,4 | 2,8 | 5,6 | — | — | — | — | 2:2 | 0:1 | — | — | — | — |
| | მონპელიე — ლილი | ნიცა 1:1 ს<br>ბასტია 3:1 შ | ნანტი 3:3 შ<br>ნანსი 2:2 ს | 1,45 | 2,8 | 5,0 | — | — | — | — | 0:0 | 1:1 | 1:0 | 0:0 | 1:3 | 0:0 |

XII ტური: ოსერი — ლანსი 1:0, მეცი — პარი სენ ჟერმენი 0:1, რენი — კანი 3:0, სტრასბური — გინგამი 2:1, ნიცა — მონპელიე 1:1, ლე ავრი — ლიონი 4:1, ბასტია — მონაკო 0:0, ბორდო — ნანსი 0:1, ლილი — ნანტი 3:3, მარსელი — კაენი 0:1

XIV ტური: ოსერი — ლიონი, მეცი — ლე ავრი, რენი — პარი სენ ჟერმენი, სტრასბური — ნანსი, ნიცა — კანი, ბასტია — ლანსი, ბორდო — მონპელიე, ლილი — მონაკო, კაენი — გინგამი, მარსელი — ნანტი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
